F75/3 16141

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

კვირა
4
ივლისი
1937 წ.
№ 151 (4952)

4000000000

მოვიპოვოთ გამოფენაში მონაწილეობის უფლება!

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში — 1938 წლის 1 აგვისტოს გაიხსნება სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარსდგებიან: კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები, მოწინავე ტრაქტორისტები, მექანიკოსები, კომბაინერები, ჯგუფის ხელმძღვანელები, მწველავები, ჩობანები, მეღორეები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტმუშაკები და სხვ.

რა მაჩვენებლებია საჭირო ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის?

ავიღოთ ჩვენი სიამაყე — ჩაის კულტურა. გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლებას მოიპოვებს ისეთი საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა, რომლებმაც გასულ წელს მიიღეს და მომავალ წელსაც სრულმოსავლიან ჰექტარზე მიიღებენ საშუალოდ 2.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს. ჩვენში ახლა არა ერთი და ორი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობაა, რომლებმაც შარშან ჰექტარზე 2-3 ათასი კილოგრამი მწვანე ფოთოლი მოგვცეს, ხოლო ცალკე ნაკვეთებზე 4-6 ათასამდეც კი. ამოცანა ის არის, რომ ბოლშევიკურად დავეუფლოთ ჩაის აგროტექნიკას, წესიერად დავაყენოთ წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, მასობრივად მივაღწიოთ მოსავლიანობის გადიდებას და ამით მოვიპოვოთ გამოფენაში მონაწილეობის უაღრესად საპატიო უფლება.

გამოფენაში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ შაქრის ჭარხლის კოლმეურნეობანი, რომლებიც მთლიანი ურწყავი ფართობიდან ჰექტარზე სულ ცოტა 200 ცენტნერ მოსავალს აიღებენ. შარშან მეჭარხლეობის ცალკე კოლმეურნეობებში, ბრიგადებში და ჯგუფებში 500-900 ცენტნერიც კი მიიღეს. წელს მოწინავე მეჭარხლეებმა პირობა მისცეს ამხ. ლავრენტი ბერიას, რომ ჰექტარზე მიიღებენ 500-1.200 ცენტნერამდე. დაპირების ბოლშევიკური შესრულებისათვის ბრძოლა ამავე დროს გამოფენაში მონაწილეობისათვის ბრძოლაც არის. ეს უნდა ახსოვდეთ მეჭარხლეობის რაიონების პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს.

მარცვლეულის კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან გამოფენაში მონაწილეობის უფლება ექნება იმათ, რომლებიც მიაღწევენ მარცვლეულის საშუალო მოსავალს არა ნაკლებ 12 ცენტნერისა ჰექტარზე.

მეთამბაქოობის კოლმეურნეობებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ გამოფენაში მონაწილეობის უფლებას ისინი მხოლოდ მაშინ მიიღებენ, თუ უზრუნველჰყოფენ ჰექტარზე საშუალოდ ასეთ მოსავალს: ტრაპეზუნდის თამბაქოს 14 ცენტნერს, ხოლო სამსუნისას — 10 ცენტნერს.

მევენახეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაძლებლობა ექნებათ წარსდგნენ საკავშირო გამოფენაზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი სარწყავი ვენახიდან ჰექტარზე საშუალოდ მიიღებენ სულ ცოტა 100 ცენტნერ ყურძენს, ხოლო ურწყავზე — 50-ს.

გამოფენაში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ მეცხოველეობის ისეთი საბჭოთა მეურნეობები და საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმები, რომლებიც მთლიანად შეასრულებენ მეცხოველეობის განვითარების 1936-37 წლის სახელმწიფო გეგმებს და გაზრდიან ძროხების საშუალო წველადობას 900-3.000 ლიტრამდე ცხოველთა ჯიშების შესაბამისად. ასევე მტკიცედ არის განსაზღვრული სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მეცხენეობის, მეცხვარეობისა და მეღორეობის საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმების მონაწილეობის უფლებანი.

სტახანოველმა ტრაქტორისტებმა ტრაქტორთა წლიური გამოყენების საქმეში მსოფლიო რეკორდები დაამყარეს. გამოფენაზე წარსდგებიან ის მტს-ები, რომლებიც 1937 წელს „ჩტზ" მარკის ტრაქტორით მიაღწევენ წლიურ გამომუშავებას სულ მცირე 2.500 ჰექტარის, ხოლო ბორბლებიანი ტრაქტორით სულ ცოტა 900 ჰექტარის რაოდენობით, თხუთმეტფუტიანი კომბაინით შესძლებენ სულ ცოტა 500 ჰექტარის აღებას. გამოფენის კანდიდატი გახდება ის ტრაქტორისტი, რომელიც „ჩტზ" მარკის ტრაქტორით თავის ცვლაში წლის განმავლობაში გამოიმუშავებს სულ მცირე 2.000 ჰექტარს, ხოლო ბორბლებიანი ტრაქტორით არა ნაკლებ 700-სა.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის დადგენილება გამოფენაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოწინავეებისა და ორგანიზატორების მონაწილეობის პირობების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებული იყო „კომუნისტის" 18 ივნისის ნომერში, და ამასთან ერთად საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიუროს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ჩვენი გაზეთის 30 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობის დოკუმენტებია, რომელთა შინაარსს საფუძვლიანად უნდა იცნობდეს კოლმეურნეობების თვითეული წევრი, საბჭოთა მეურნეობის თვითეული მუშაკი, სამიწათმოქმედო ორგანოების თვითეული მუშაკი.

ამოცანა ის არის, რომ მიწსახკომმა, რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა სერიოზული მუშაობა გააჩაღონ იმისათვის, რათა ორდენოსანი საქართველოს მთელი რიგი კოლმეურნეობანი, მტს-ები, საბჭოთა მეურნეობანი, სტახანოველები და წარჩინებულნი წარსდგნენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მიწსახკომი, საბჭოთა მეურნეობის ტრესტი, რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები დაუყოვნებლივ უნდა ჩაუდგნენ სათავეში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას რაიონებსა, მტს-ებსა, კოლმეურნეობებსა, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, აგრეთვე მოწინავე ადამიანთა შორის.

დაუნდობლად უნდა ავკვეთოთ რაიონის ზოგიერთი მუშაკის განწყობილება, რომ გამოფენისათვის საგანგებოდ მოამზადოს ერთი ან ორი ობიექტი, ერთი ან ორი მუშაკი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა წარიმართოს გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვების ნიშნით. გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში უნდა ჩაებან სასოფლო-სამეურნეო ყველა წარმოებანი, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

„საქჩაის" 30 ივნისის ცნობებით

საბჭოთა მეურნეობები	მოკრეფილია სეზონის დაწყებიდან ტონობით	მოკრეფილია ივნისში ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროც.-ბით	ივნისის გეგმის შესრულება პროცენტობით
სალიბაურის	182,4	115,8	41,7	100
ორთა-ბათუმის	130,8	48	36,5	79,1
ჩაქვის პირველი	901,3	302,8	38,5	74,7
ბობოყვათის	331,3	113,1	39,3	75,1
ხუცუბნის	155,9	54,4	42,9	54,1
ქობულეთის	440,6	155,2	28,9	58,6
ნატანების	174,3	73,9	37,8	95,5
შრომის	166,7	62,1	35	76,8
ლაითურის	511,3	136,8	33	71,9
მახარაძის	480,1	185,6	28,7	65,9
მაღალ ეწერის	184,3	61,3	33,1	64,8
ნასაკირალის	244,8	59,5	25,9	37,1
აცანის	266,5	90,6	32,9	66,1
ნიგვზიანის	157,7	53,9	36,5	74,4
სუფსის	187,2	64,5	37,3	76,5
მამათის	176,3	64,5	29,2	63,6
ლანჩხუთის	150,2	56,5	35,6	79,9
ჩოხატაურის	271,8	89,1	36,2	74,1
წულუკიძის	175	63	39,2	86,1
უშაფათის	224,6	67,5	38,1	68
დიდი ჭყონის პირველი	237,4	71,2	43,5	77,6
დიდი ჭყონის მეორე	168,3	32,1	26,7	28,9
ზუგდიდის	536,5	139,2	32,8	49,4
ნარაზენის	299	78,3	33	49
წალენჯიხის პირველი	99	23,5	30	41,9
წალენჯიხის მეორე	71,5	15,4	15,5	19,2
ჩალე-ფახულანის	28	5,9	31,1	38,8
ჩხოროწყუს	195,7	44,5	34,6	46,4
გალის	150,1	48,2	36,6	65,7
აჩიგვარის	214	64,8	33	57,1
ნაბაკევის	188,4	43,6	40,7	55,3
მოქვის	218,1	63,6	31,1	55,1
ახალხიბულის	58,2	15,3	41,6	68,5
ორპირის	83,9	30	46,6	104,2
ჩაის ინსტიტუტი	64,7	21,7	26,8	54,4
სულ	8,231,4	2665,9	33,6	63,7

საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხი

სესხზე ხელმოწერის უჩვეულო წარმატება წითელი არმიის ნაწილებში

2 ივლისს წითელი არმიის ნაწილებში დილიდანვე შეუდგნენ თავდაცვის განმტკიცების სესხის რეალიზაციას. ცალკე ნაწილებსა და დანაყოფებში მოეწყო წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელდახელო მიტინგები.

ცალკე დანაყოფებსა და განყოფილებებში წაიკითხეს მთავრობის დეკრეტი და მასობრივად გაეცნენ ახალი სესხის პირობებს.

გამოუკლებლივ ყველგან მხურვალედ მიესალმნენ ახალი სესხის გამოშვებას და დაუყოვნებლივ შეუდგნენ სესხზე ხელმოწერას. უმრავლეს ნაწილებში და დანაყოფებში სესხის რეალიზაცია დილითვე დამთავრდა. 2 ივლისს საღამოს და 3 ივლისს დილით სესხზე ხელმოწერა მიმდინარეობდა იმ მებრძოლებსა და მეთაურებს შორის, რომლებიც 2 ივლისს გასული იყვნენ განწესებაზე (საგუშაგოებზე).

მებრძოლების წვლილი

№ ნაწილის დანაყოფში, რომლის მეთაურიც ამხ. კიკნაძეა, 2 ივლისს შესდგა მებრძოლებისა, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების სახელდახელო მიტინგი, მიძღვნილი ახალი სესხის გამოშვებისადმი. მთავრობის დეკრეტთან და სესხის პირობებთან გაცნობისთანავე დაიწყეს სესხზე ხელმოწერა.

მებრძოლები გამოსთქვამდნენ სიხარულს, რომ მათ საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში და საკუთარი წვლილი მიიტანონ თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ფონდში.

ნაწილში შემოდგომაზე მოსულმა მებრძოლმა, წითელარმიელმა ლიტვინენკომ, რომელმაც ამასწინათ კოლმეურნეობიდან მიიღო 5.000 მანეთი ნამუშევარი შრომადღეების ანაზღაურებლად, ხელი მოაწერა 650 მანეთის სესხზე.

— ხვალ დილითვე მეთაურს ვთხოვ შვებულებას, წავალ და ერთბაშად შევიტან ამ თანხასო, — განაცხადა მან.

ასეთი გამოსვლები ნაწილში ხშირი იყო, კოლმეურნე—წითელარმიელები, რომლებმაც მიიღეს თავიანთი შრომადღეების ფულადი ანაზღაურება, დიდი თანხის სესხზე აწერენ ხელს.

„მივბაძავთ ჩკალოვს, ვასახელებთ ქვეყანას"

ნაწილში, სადაც კომისრად ამხ. წიქორიაა, შესდგა მებრძოლებისა და მეთაურების მიტინგი, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცნობა ახალი სესხის გამოშვების შესახებ. მიტინგზე სიტყვებით გამოსულნი ჩერდებოდნენ ახალი სესხის მნიშვნელობაზე და იმ ვალდებულებებზე, რომლებიც უნდა იკისრონ წითელარმიელებმა და მეთაურებმა საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა იკისრეს: უკლებლივ ყველამ მოაწერონ ხელი ახალ სესხზე; გაგზავნონ სესხის რეალიზაციისათვის ხელისშესაწყობად მოწოდების წერილები თავიანთ კოლმეურნეობებსა და საწარმოებში; მიაღწიონ საბრძოლო და პოლიტმომზადების საუკეთესო მაჩვენებლებს, გაამახვილონ კლასობრივი სიფხიზლე, გამოამჟღავნონ უცხო ელემენტები და სხვ.

—ვაწერთ რა ყველანი ამ სესხზე ხელს,—ნათქვამია მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში, — პირობას ვაძლევთ პარტიასა და მთავრობას, რომ ზედმიწევნით ავითვისებთ ჩვენთვის ჩაბარებული ახალ თავდაცვით იარაღს, მივაღწევთ საუკეთესო მაჩვენებლებს ამ იარაღით ბრძოლაში და საჭიროების შემთხვევაში ვასახელებთ ჩვენს ქვეყანას და მის გუშაგ წითელ არმიას, ისე, როგორც გვასახელეს ყველანი ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა, ბელიაკოვმა, შმიდტმა, პაპანინმა და საბჭოთა კავშირის გმირთა მთელმა ახალმა პლეადამ.

აღნიშნულ ნაწილში ახალი სესხის რეალიზაცია რამდენიმე საათში დამთავრდა.

ახალი სესხი, ახალი სიხარული

პირველ ივლისს საღამოს რადიომ **26 კომუნარის სახელობის ქარხნის** მუშებს მეტად სასიხარულო ამბავი აცნობა: გამოვიდა მთავრობის დადგენილება თავდაცვის განმტკიცების სესხის გამოშვების შესახებ.

ახალმა სესხმა ახალი სიხარულით და ჩვენი დიადი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით აანთო ქარხნის მოწინავე ადამიანთა გულები. საამქროებში მაშინვე მოიწვიეს მიტინგები და დაიწყო სესხზე მასობრივად ხელის მოწერა.

გუშინ დილით შესვენების დროს ქარხნის ეზოში თავი მოიყარეს პირველი ცვლის მუშებმა. შესავალი სიტყვით გამოვიდა ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. შ. კოჩლაძე. ფერად-ფერად ყვავილებს შორის იდგნენ მხიარული ადამიანები და გულმოდგინედ უსმენდნენ მომხსენებელს. ყველას გაზეთი ეჭირა ხელში. ჯერ მომხსენებელს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, როცა სტახანოველთა ჯგუფებიდან გამოვიდა კომკავშირელი ამხ. გოგოლაშვილი. სიხარულით მივიდა მოლარესთან და პირველმა მოაწერა ხელი სესხს. გოგოლაშვილმა წარმოებას მოუწყვეტლივ შეისწავლა თვითმფრინავის მართვა და გაიარა საპარაშუტო სკოლაც. ის ყოველმხრივ მომზადებულია სამშობლოს გმირულად დასაცავად. სესხზე ხელის მოწერის შემდეგ გოგოლაშვილი სიტყვითაც გამოვიდა. სიძულვილით გაჰკიცხა მან ჩვენი სამშობლოს მოღალატეები, პირსისხლიანი ტროცკისტები, რომლებმაც ჯაშუშობით ცოტა ზიანი როდი მიაყენეს ქვეყანას.

ინჟინერმა კოდუამ მიტინგზე განაცხადა, რომ საამწყობო საამქროში სესხზე ხელის მოწერა უკვე დამთავრდაო. გუშინწინ და გუშინ 780 კაციდან 550 კაცმა უკვე მოაწერა სესხზე ხელი. საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით შთაგონებულმა ორდენოსანმა ზაკომოლდინმა თავის საამქროში დაამთავრა ხელის მოწერა. ახლა ყვავილებს შორის დამჯდარა და გულმხიარული უსმენს ორატორებს.

აი ტრიბუნაზე ავიდა ინჟინერი ქალი კალანტაროვა და ამაყად განაცხადა:

— ჩვენი ქარხნის არცერთი ინჟინერ-ტექნიკოსი არ დარჩება თავდაცვის სესხზე ხელმოუწერელი. ჩვენ აღგვაფრთოვანა სესხმა, რომელიც ხელს შეუწყობს ბედნიერ ადამიანთა ბედნიერი სამშობლოს დაცვის განმტკიცებას. დაე იცოდნენ ქოფაკმა ფაშისტებმა, მთელი პროგრესიული კაცობრიობის სისხლიანმა მტრებმა, რომ ახალი სესხი მიმართულია მათი მახინაციების წინააღმდეგ.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ თავდაცვის სესხზე ხელმოუწერელი არ დარჩება არცერთი მუშა-მოსამსახურე და ჩვენი მტრების საპასუხოდ ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის წლიურ გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ.

ამიერკავკასიის რკინიგზელებმა ხელი მოაწერეს სესხს 6.867.409 მანეთის რაოდენობით

უდიდესი ენტუზიაზმით და აქტივობით მიმდინარეობს ხელმოწერა ამიერკავკასიის რკინიგზელთა შორის. 2 ივლისს მთელი დღის განმავლობაში სესხს ხელი მოაწერა 32.989 კაცმა 6.867.409 მანეთის რაოდენობით.

ხელმოწერა გრძელდება.

(საქდესი).

სესხის რეალიზაცია თბილისში

2 დღეში გავრცელებულია 22.811.925 მან. სესხი

3 ივლისს ღამის 12 საათისათვის შეჯამებული ცნობების მიხედვით, თბილისში 2 დღის განმავლობაში რეალიზებულია 22.811.925 მანეთის სესხი.

სულ თბილისში 2 და 3 ივლისს ახალ სესხზე ხელი მოაწერა 119.298 მშრომელმა. აქედან არაორგანიზებული მოსახლეობიდან სესხზე ხელი მოაწერა 20.143 მშრომელმა.

გასული წლის (მეორე ხუთწლედის მეოთხე წლის სესხი) სესხი პირველ ორ დღეს რეალიზებული იყო 19.156.000 მანეთის რაოდენობით, ხოლო სესხზე ხელმომწერთა რიცხვი 91.421 კაცს უდრიდა.

ამგვარად, „საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხი" პირველ ორ დღეში რეალიზებულია 3.645.925 მანეთით მეტი, ვიდრე შარშან იყო.

თბილისის რაიონებს შორის ახალი სესხის წარმატებით რეალიზაციაში დაწინაურდნენ ლენინის, სტალინის და 26 კომისარის სახ. რაიონები.

სესხზე ხელის მოწერა გრძელდება.

ქ. თბილისის მშრომელები ხელს აწერენ ახალ სესხზე.
სურათზე: ტრამვაის მექანიკურ სახელოსნოს სტახანოველი ვ. კოხრეიძე (მარცხნივ) ხელს აწერს სესხზე.
ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

საქართველოს მშრომელნი მხურვალედ მიესალმებიან „სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის" გამოშვებას

ქუთაისი, 2 ივლისი (საქდესი). საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრის — ქუთაისის მშრომელი დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეეგებნენ მთავრობის დადგენილებას თავდაცვის სესხის გამოშვების შესახებ. 2 ივლისს ფაბრიკებში, ქარხნებში, ახალშენებებზე და დაწესებულებებში გაჩაღდა სესხზე ხელის მოწერა.

აბრეშუმის კომბინატში სესხს პირველებმა მოაწერეს ხელი საუკეთესო სტახანოველმა ქალებმა გალინა ლიტვინენკომ, შურა წოწორიამ და შურა ახალაძემ. კომბინატის მთელმა 2 ათასკაციანმა კოლექტივმა ერთსულოვნად მოაწერა ხელი სესხს. კომბინატის მუშებმა, მუშა-ქალებმა და სპეციალისტებმა სახელმწიფოს სესხად მისცეს თავისი სამი კვირის ხელფასი.

მაუდის ფაბრიკის მუშებს შორის სესხზე ხელისმოწერა გადაიქცა მასობრივ ზეიმად. ფაბრიკის საამქროები და სასადილო მორთული იყო სესხისადმი მიძღვნილი ლოზუნგებითა და პლაკატებით. მიტინგზე თავმოყრილი მუშები ჯგუფჯგუფად ჰკითხულობენ მთავრობის დადგენილებას სესხის გამოშვების შესახებ, ეცნობიან სესხზე ხელის მოწერის პირობებს.

მიტინგი განსაკუთრებული აღტყინებით ჩატარდა. ტრიბუნაზე ერთიმეორეს სცვლიან ფაბრიკის წარჩინებული ადამიანები—სტახანოველები ნადია გაბედავა, კონსტანტინე რომანენკო, ვერა ბოლქვაძე და სხვ. მიესალმებიან რა სესხის გამოშვებას, ისინი პირველნი იწყებენ ხელის მოწერას.

საზეიმო პირობებში ჩატარდა ლიტოპონის ქარხნის მშენებლობის მუშათა და სპეციალისტთა მიტინგი. მშენებლობის საუკეთესო სტახანოველები კარპოვი, დონდუა, ბზიკაძე მიესალმნენ მთავრობის დადგენილებას. ისინი ამბობდნენ—„სსრ კავშირის თავდაცვის სესხით ჩვენ გამანადგურებელ ლახვარს ჩავსცემთ ომის ფაშისტ გამჩაღებლებს, დივერსანტებს, ტროცკისტ ბანდიტებს. ჩვენ სიხარულით ვაწერთ ხელს სესხზე. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი წვლილი შეგვაქვს ჩვენი აყვავებული სამშობლოს ძლიერების განმტკიცების დიად საქმეში".

დიდი აღტყინებით და ენტუზიაზმით ჩატარდა სესხზე ხელისმოწერა სამკერვალო ფაბრიკაში, ქიმკომბინატში, საკონსერვო ქარხანაში.

ქუთაისის მშრომელნი სესხზე ხელის მოწერით გამოხატავენ თავის ღრმა სიყვარულს სამშობლოსადმი, ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

ბათუმში ხელმოწერამ ერთ დღეს მოგვცა 1.879.000 მანეთი

ბათუმი, 2 ივლისი (საქდესი). დღეს ბათუმის ყველა საწარმოში დაიწყო „სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხზე" ხელმოწერა. საწარმოთა ყველა საამქროსა და ბრიგადაში გამოყოფილია სპეციალური რწმუნებულები.

ქალაქი მორთულია ლოზუნგებით, დროშებით.

ყველაზე ორგანიზებულად მიმდინარეობს ხელმოწერა ბათუმის რკინიგზის კვანძის მუშებსა და მოსამსახურეებს შორის. 2 ივლისს 10 საათისათვის სესხზე უკვე მოაწერა ხელი 1.110 რკინიგზელმა (საერთო რიცხვის 70 პროცენტმა), უმრავლესობამ ხელი მოაწერა ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. ამ დროისათვის ხელმოწერის თანხა უდრის 244.395 მანეთს.

რკინიგზელებს შორის პირველმა მოაწერა ხელი ორდენოსანმა მემანქანემ ამხ. ჯორბენაძემ. ხელს აწერდა რა სესხს, მან განაცხადა: —უდიდესი სიხარულით ვაწერ ხელს „სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხზე". ვიძლევი რა სესხად ჩემს დანაზოგებს, მე ვიცი, რომ ჩვენი შრომითი სახსრები მოხმარდება ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას.

2 ივლისს 22 საათისათვის ბათუმის 7.687 მშრომელმა ხელი მოაწერა 1.879 ათასი მანეთის სესხს. ქობულეთის რაიონში 1010 კაცმა 202 ათასი მანეთის თანხას მოაწერა ხელი.

ხელისმოწერა გრძელდება.

სესხის მასობრივი გავრცელება წარმატებით მიმდინარეობს

საქართველოს შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის ცენტრალურ სამმართველოში მიღებული პირველი დეპეშებიდან ირკვევა, რომ თავდაცვის განმტკიცების სესხის რეალიზაცია რაიონებში უნახავი წარმატებით მიმდინარეობს. მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა სესხის გამოშვებას. ყველგან მასობრივად გაიშალა ახალ სესხზე ხელის მოწერა.

ლუქსემბურგში 2 ივლისს სესხზე ხელი მოაწერა 540 მუშა-მოსამსახურემ და 749 კოლმეურნემ. საღამომდე გავრცელებულ იქნა 196.000 მანეთის სესხი, აქედან მუშა-მოსამსახურეთა შორის 127.000 მანეთისა და კოლმეურნეთა შორის—69.000 მანეთისა.

სამტრედიაში 2 ივლისს მოეწყო სახელდახელო მიტინგები რკინიგზის კვანძზე, ადგილობრივ წარმოება-დაწესებულებებში და კოლმეურნეობებში. მარტო სამტრედიაში საღამომდე გაავრცელეს 950.000 მანეთის სესხი

ვანში სესხის გამოშვების პირველ დღეს გაავრცელეს 48.000 მანეთის სესხი.

ბორჯომში მუშა-მოსამსახურეთა შორის 2 ივლისს საღამომდე გავრცელებული იყო 173.000 მანეთის, კოლმეურნეებს შორის 3.000 მანეთისა, ხოლო დანარჩენ მოსახლეობაში 17.000 მანეთის სესხი, სულ პირველ დღეს ბორჯომში 193.000 მანეთის სესხი გავრცელდა.

უდიდესი კმაყოფილების გრძნობით

2 ივლისია, დღის 12 საათი.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატსა და საკურორტო სამმართველოში გაისმა ხმები:

— კრებაზე, ამხანაგებო!

რამდენიმე წუთში საკურორტო სამმართველოს ერთ-ერთ მოზრდილ ოთახში თავი მოიყარა საქართველოს ჯანმრთელობის ფრონტის 200-მდე მუშაკმა, რომელთა სახეებზე აღბეჭდილია უდიდესი კმაყოფილების გრძნობა.

მიტინგზე ინფორმაციით გამოდის ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. მ. გელაშვილი.

— უდიდესი აღფრთოვანებით მივესალმები, — ამბობს ბუხჰალტერი ლ. არუთინოვი,—საბჭოთა მთავრობის დადგენილებას თავდაცვის სესხის გამოშვების შესახებ და სიხარულით ვაწერ სესხზე ხელს.

— ჩვენ,—ამბობს საკურორტო ბიუროს თავმჯდომარე ამხ. დ. ჩაჩანიანი,—არაერთხელ დაგვიმტკიცებია ჩვენი სამშობლოს სიყვარული, ხოლო დღეს ამ სესხის დროულად და რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გავრცელებით ერთხელ კიდევ დავამტკიცებთ მისდამი ერთგულებას და უზომო სიყვარულს.

— ეს სესხი,—ამბობს ეკონომისტი ა. ქარჩავა,—არის სესხი, რომლითაც უნდა განვამტკიცოთ საბჭოთა ქვეყნის ძლიერება, რათა დავიცვათ იგი ფაშისტ ბარბაროსთა ბანდიტური თავდასხმებისაგან.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რის შემდეგ ჩატარდა სესხზე ხელის მოწერა.

ნახევარი საათის განმავლობაში ახალ სესხზე ხელი მოაწერა 170 კაცმა.

რა უნდა აკეთონ სესხის ხელშემწყობმა კომისიებმა

სესხის ხელშემწყობი კომისიები, როგორც მასობრივი ორგანიზაცია, მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმეს. მათ განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშონ სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის რეალიზაციაში, მშრომელთა შორის მასობრივი ახსნა-განმარტებით სრული ნებაყოფლობის საფუძველზე უნდა უზრუნველჰყონ ხელისმოწერის ჩატარება ლოზუნგით: „ორი-სამი კვირის ხელფასი სესხს",

სესხის ხელშემწყობმა კომისიებმა თვალყური უნდა ადევნონ სესხზე ხელმომწერლიდან დაკავებული თანხების შემნახველ სალაროებში დროზე გადარიცხვას, რათა არ მოხდეს სესხის თანხების დაბანდება წარმოებაში, რაც დღემდე ზოგიერთ საწარმო-დაწესებულებაში ხდება.

საწარმო-დაწესებულებების საანგარიშო დარგმა შემნახველ სალაროებს თავის დროზე უნდა მიაწოდოს ცნობები სესხზე ხელისმომწერთა რაოდენობისა და თანხების შესახებ, ყოველთვიურად აცნობოს სესხზე ხელმოწერის თანხაში რაიმე ცვლილების შეტანის შესახებ. სესხის კომისიებმა უნდა უზრუნველჰყონ სამსახურიდან წამსვლელ ხელის მომწერლებისათვის ანგარიშის გასწორებისას მათი კუთვნილი ობლიგაციების ჩაბარება, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდეგში ობლიგაციების ჩაბარების გართულება.

სას. საბჭოსთან არსებულმა სესხის ხელშემწყობმა კომისიებმა სისტემატურად უნდა გაუწიონ ინსტრუქტაჟი სოფლად სესხის გამავრცელებელ რწმუნებულებს, თვალყური ადევნონ ხელმომწერის თანხების სას. საბჭოებში საქვითარო წიგნაკების მიხედვით ჩაბარებას და უკანასკნელის მიერ ამ თანხების შემნახველ სალაროებში დროზე შეტანას, უხელმძღვანელონ აგრეთვე ობლიგაციების თავის დროზე ჩაბარებას სესხის იმ ხელისმომწერთათვის, რომლებმაც ვადამდე დაჰფარეს მთელი ხელმოწერის თანხა.

სესხის ხელშემწყობმა კომისიებმა უნდა უზრუნველჰყონ მშრომელთა მასის და საფინანსო აქტივის ისე დარაზმვა, რომ მაღალხარისხოვნად ჩატარდეს როგორც სესხზე ხელისმოწერა, ისე ხელისმოწერის მიხედვით სახელმწიფო შემნახველ სალაროში თანხების დროულად შეტანა.

ჰ. ხომერიკი

საქ. ცაკის პრეზიდიუმთან არსებულ სახ. კრედიტის და შემნახველ საქმის დამხმარე კომისიის თავმჯდომარე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1937 წ. 3 ივლისს სანატორიუმ „ბარვიხაში", მოსკოვის მახლობლად, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, მძიმე მრეწველობის გამოჩენილი [illegible]ურნეო მუშაკი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომი[illegible]

იოსებ ვიკენტის-ძე კოსიორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

(ტას. დეპეშათა სააგენტოს ცნობით პარიზიდან)

ცენტრალური ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რომელიც გამოქვეყნდა 2 ივლისს, მეამბოხეთა არტილერია ყუმბარებს უშენს მადრიდს და რესპუბლიკელთა პოზიციებს ამ სექტორში.

მეამბოხეების მიერ მომზადებული აფეთქება კარაბანჩელის სექტორში ვერ მოხერხდა. აფეთქდა მხოლოდ ერთი შენობა, რომელიც მდებარეობდა რესპუბლიკელთა პოზიციების მახლობლად.

რესპუბლიკელთა ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში სექტორში მდინარე ტახოს სამხრეთით, სიერა დე ბრგალიანესის რაიონში.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, 2 ივლისს დილით მეამბოხეთა თვითმფრინავებმა სცადეს მადრიდის თავზე ფრენა, მაგრამ მთავრობის საზენიტო არტილერიის ცეცხლმა აიძულა ისინი უკან გაბრუნებულიყვნენ.

ხარამის რაიონში მეამბოხეებმა სცადეს რკინიგზის ხაზზე იერიშის მიტანა, ცდილობდნენ რა გაერღვიათ პოზიცია რესპუბლიკელებისა, რომლებმაც მთლიანად ალყა შემოარტყეს მორატა დე ტახუნიას. იერიში მოგერიებულ იქნა.

ჩრდილოეთის ფრონტი

ჩრდილოეთის ფრონტის ბისკაის სექტორში სწარმოებს საარტილერიო სროლა. 1 ივლისს დილის მეორე ნახევარში რესპუბლიკელთა ავიაციამ ვალმასედის მიდამოებში იერიში მიიტანა მეამბოხეთა მრავალრიცხოვან შეჯგუფებებზე. ბომბარდირების შედეგად მეამბოხეებს ბევრი მეომარი დაუხოცეს.

სამხრეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 1 ივლისს მეამბოხეებმა ავიაციის დახმარებით იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე პენიონ დე ლა მარტის მალლობთან. რესპუბლიკელებმა იერიში მოიგერიეს.

1 ივლისს მთავრობის თვითმფრინავთა ესკადრილიამ ყუმბარები დაუშინა სევილიის აეროდრომს. აეროდრომზე განადგურებულია რამდენიმე თვითმფრინავი.

მადრიდის სასურსათო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია

ლონდონი, 1 ივლისი. (საქდესი). როგორც ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გენერალმა მიახამ დღეს განაცხადა, რომ მადრიდის მომარაგება სურსათით ამჟამად თითქმის ნორმალურად სწარმოებს. მთავარ ქუჩებში გახსნილია რესტორანები. არის ხორბლის ფქვილის დიდი მარაგი.

მეამბოხეებს გამალებული ტემპით აწვდიან იარაღს

პარიზი, 2 ივლისი. (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ, ტურინიდან მიღებული ცნობებით, იტალიიდან ესპანელი მეამბოხეებისათვის იარაღის განუწყვეტელმა მასობრივმა გაგზავნამ აიძულა იტალიის სამხედრო მრეწველობა გაეძლიერებინა მუშაობა. ამასთან დაკავშირებით აოსტის პროვინციის ლითონდამმუშავებელ საწარმოებში მთელ დღე-ღამეს სწარმოებს მუშაობა. გამალებით იგზავნება საომარი საჭურველი ესპანელ მეამბოხეებისათვის გაეტის ნავსადგურში (ნეაპოლის ჩრდილოეთით). იმ მიზნით, რომ სამოქალაქო მოსახლეობას დაუმალონ ეს, გამოცემულია ბრძანება, რომელიც კრძალავს გაეტის ქუჩებში სიარულს 22 საათის შემდეგ.

რომიდან მიღებული ცნობების თანახმად, 11 ივნისს სარცანის მიდამოებში (გენუის პროვინცია) მდებარე აეროდრომიდან გაფრინდა 11 თვითმფრინავი, დატვირთული ცეცხლწამკიდებელი ყუმბარებითა და ფეთქადი ნივთიერებებით. თვითმფრინავები გაეგზავნათ ესპანელ მეამბოხეებს. აფრენისას ერთერთი თვითმფრინავი წააწყდა მოულოდნელ დაბრკოლებას. მოხდა აფეთქება, რის შედეგად დაინგრა ერთი შენობა. თვითმფრინავის მთელი ეკიპაჟი დაიღუპა. მოსახლეობაში არიან მძიმედ დაჭრილნი.

ესპანის სააგენტოს ვალენსიელი კორესპონდენტი გადმოსცემს უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტებთან ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ხირალის საუბრის შინაარსს. ხირალმა აღნიშნა, რომ, ზუსტი ცნობების თანახმად, დაწყებული 1936 წ. აგვისტოდან, ყოველი 15 დღის განმავლობაში მაინც სწარმოებდა იტალიის ჯარის გადმოსხმა მეამბოხეთა ხელში არსებულ ერთერთ ნავსადგურში.

შეკითხვები იდენს თემთა პალატაში

ლონდონი, 2 ივლისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, უპასუხა რა ლეიბორისტის ეტლის შეკითხვაზე თემთა პალატაში, საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა მუდამ მოითხოვს და მომავალშიაც განაგრძობს მოთხოვნას, რათა ესპანეთიდან გაწვეულ იქნას ყველა უცხოელი, რომელიც მონაწილეობას იღებს საომარ მოქმედებაში.

შემდეგ ეტლიმ იდენს მისცა შეკითხვა: სწარმოებს თუ არა განხილვა წინადადებისა მიენიჭოს ორივე მხარეს — ესპანეთის მთავრობას და მეამბოხეებს — მეომარ მხარეთა უფლებები ესპანეთიდან უცხოელთა ჯარების გაუწვევლად.

იდენმა უპასუხა, რომ მას არ შეუძლია დაწვრილებით განიხილოს სიტუაცია, რომელსაც ამჟამად ჰიპოტეზური ხასიათი აქვს.

12-ათასიანი მიტინგი საბჭოთა კავშირის გმირ მფრინავთა პატივსაცემად

ნიუ-იორკი, 2 ივლისი. (საქდესი). საბჭოთა კავშირი — ჩრდილოეთის პოლუსი—ამერიკის შეერთებული შტატების მარშრუტით გადაფრენის გმირთა პატივსაცემად „საბჭოთა კავშირის მეგობართა“ საზოგადოებამ მოიწვია მიტინგი, რომელსაც 12 ათასი კაცი დაესწრო. გმირთა გამოჩენისას მქუხარე ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. ქალაქ ნიუ-იორკის მერის სახელით საბჭოთა მფრინავებს მიესალმა ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენელი ფოულერი.

საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ჩკალოვმა თავის სიტყვაში სთქვა:

„საბჭოთა კავშირი მიდის გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ. მე ვთხოვ ჩემს ამერიკელ მეგობრებს მაპატიონ, თუ ჩვენ მათ რამდენიმე წლით გავუსწარით. ჩვენი გაფრენა მთლიანად მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს ეკუთვნის“.

საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ბაიდუკოვმა, მიმართა რა შეკრებილთ, სთქვა:

„ჩვენი ქვეყანა ახალგაზრდაა, და ჩვენი ქვეყნის ცხოვრება ჰგავს ახალგაზრდა ადამიანთა - ჭაბუკთა და ქალიშვილთა ცხოვრებას,— რომელნიც აღსავსენი არიან ენერგიითა და სურვილით განუწყვეტლივ აწარმოონ შემოქმედებითი მუშაობა და მიაღწიონ დასახულ მიზნებს. ჩვენ ვავითარებთ მრეწველობას. აიღეთ, მაგალითად ავიაცია. რამდენიმე წლის წინათ ჩვენ თითქმის არ გვქონდა საავიაციო მრეწველობა, ახლა კი ჩვენ მოგვეპოვება საუცხოო თვითმფრინავები, მშვენიერი მოტორები და კარგი მფრინავები. ჩვენი საკუთარი ფოლადისაგან გაკეთებული და ჩვენი ახალგაზრდა მუშების ხელით აწყობილი მოტორები ისე კარგია, რომ პროფესორმა შმიდტმა შესძლო ჩრდილოეთის პოლუსზე გაფრენა.

ჩვენ მუდამ მოხარული ვართ ვისწავლოთ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, რომლებიც ავიაციის განვითარების მხრივ პირველ-რიგებში იმყოფებიან. ისეთი გადაფრენა, როგორიც ჩვენი გადაფრენაა, არ ჰგავს ჩვეულებრივ საჰაერო გასეირნებას. ძნელი იყო სხვადასხვა მეტეოროლოგიური დაბრკოლების გადალახვა. მაგრამ საბჭოთა მფრინავები ისე არიან აღზრდილნი, რომ მუდამ ბოლომდე იბრძვიან ჩვენი ხალხის მიერ წამოყენებულ პრობლემათა გადასაჭრელად. ისეთი გმირები, როგორიც ჩვენ ვართ, ჩვენს ქვეყანაში ასობით და ათასობით შეიძლება იყონ. რასაც უნდა ამზადებდნენ ჩვენს წინააღმდეგ ესა თუ ის სახელმწიფონი და რასაც უნდა ლაპარაკობდნენ ჩვენზე, ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება ჩვენი მიზნის შესრულებაში—შევქმნათ ბედნიერი ცხოვრება მთელ მსოფლიოში—ოდნავადაც არ იქნება შერყეული ამით. თქვენ, საბჭოთა კავშირის მეგობრებო, მიიღეთ ჩვენი ხალხის მისალმებანი, მისალმებანი, რომელნიც ჩვენი მფრინავი ფრინველის წითელ ფრთებზე მოგიტანეთ“.

საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ბელიაკოვმა, მიმართა რა კრებას, განაცხადა:

„არასოდეს არ ყოფილა ადამიანი ისე თავისუფალი, როგორც იგი თავისუფალია ახლა საბჭოთა კავშირში. თვითეულს აქვს შესაძლებლობა გაავითაროს თავისი უნარი. განა ჩვენი გაფრენა მოსკოვიდან ჩრდილოეთის პოლუსით ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არის ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი! ჩვენ ვასრულებთ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანას ცივილიზაციისათვის, ჩვენი სამშობლოს სახელისათვის. ამასთან ჩვენი გაფრენა ხელს უწყობს დიად ხალხთა—ამერიკის ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დაახლოვებას. ჩვენს ქვეყნებს წყნარი და ატლანტის ოკეანეები ჰყოფენ, მაგრამ ჩვენ მივისწრაფვით დავამყაროთ უფრო ახლო გზა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის განხორციელება შეიძლება არქტიკის სივრცეებით. ამერიკელმა მეცნიერმა სტიფანსონმა აღნიშნა, რომ არქტიკა მისაწვდომია ადამიანისათვის. ჩვენ ვიზიარებთ ამ თეორიას და პრაქტიკულად ვახორციელებთ მას. საბჭოთა კავშირი ახორციელებს კაცობრიობის ოცნებას ჩრდილოეთის პირდაპირ და დიდ საზღვაო გზაზე. ჩვენ აღმოვაჩინეთ ჩრდილოეთის ეს დიდი საზღვაო გზა. არქტიკის ასათვისებლად გაწეული მუშაობის შედეგად ჩვენ მივიღეთ შესაძლებლობა მოგვეხდინა ჩვენი გაფრენა. ჩვენ დიდად ბედნიერი ვართ მივესალმოთ ყველა ჩვენს მეგობარს, ამ მიტინგზე დამსწრეთ. ქვეყნის ყველა კუთხიდან ვღებულობთ მისალმებებს. გაუმარჯოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატების ხალხთა მეგობრობას!“.

ცნობილმა კანადელმა მფრინავმა კენიონმა, რომელიც ახლდა ელსვორტს მისი ტრანსარქტიკული ექსპედიციის დროს, განაცხადა:

„მოვახდინე რა მთელი რიგი გადაფრენები არქტიკულ და ანტარქტიკულ მხარეებში, შემიძლია წარმოვიდგინო, თუ რა ოსტატობა და ამტანობა მართებდა ამ სამ საბჭოთა მფრინავს ამ გადაფრენის მოსახდენად. ეს გადაფრენა ეკუთვნის მსოფლიო ისტორიაში უდიდეს გადაფრენებს. მე უდიდესი კმაყოფილებით გადავცემ მისალმებას ასობით კანადელ მფრინავთა სახელით და ხელს ვართმევ ამ გმირებს. გაუმარჯოს გმირებს!“.

მიტინგის თავმჯდომარემ წაიკითხა მისასალმებელი მიმართვანი მრავალი გამოჩენილი პირისაგან, მათ რიცხვში სენატორების ბალკლეისა, ფრაზიერისა, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგ ჩეპმენისა და გენერალ ჰასკელისაგან.

საყოველთაო მოწონების შეძახილებში მიტინგზე მიღებულ იქნა შემდეგი მისალმება საბჭოთა მფრინავებისადმი:

„მადლობას ვუცხადებთ საბჭოთა კავშირის გმირებს კეთილი სურვილისათვის, რაც ასე მჭერმეტყველურად იყო გამოხატული დღეს ამ კრებაზე. გადაეცით საბჭოთა კავშირის ხალხებს ჩვენი მეგობრობის გრძნობები. თქვენი ჩამოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში განამტკიცებს მეგობრობას ორ ქვეყანას შორის და ხელს უწყობს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას“.

რესპუბლიკური არმიის ერთერთი ახალგაზრდა მეთაური მადრიდის ფრონტზე. („სოიუზფოტო“)

◇

ქრონიკა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის განკარგულებით უცხოელ ჟურნალისტს ნ. ი. ბასეხს წინადადება მიეცა დასტოვოს საბჭოთა კავშირის საზღვრები სისტემატური ბოროტცილისმწამებლური ანტისაბჭოთა კამპანიისათვის ესტონეთის, ჩეხოსლოვაკიის პრესაში და სხვა ქვეყნების პრესაში.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

მოსკოვი, 3 ივლისი (საქდესი). იაპონიის ელჩმა ბ-ნმა სიგემიცუმ გუშინ, 2 ივლისს, ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი და, დაიმოწმა რა მათ შორის წინადღით გამართული საუბარი, განაცხადა: ტოკიოდან მივიღე ცნობა, რომ იაპონია-მანჯურიის სამხედრო კატერები გაყვანილი არიან ამურის კუნძულებიდან, რომელთა შესახებაც დავა სწარმოებს, და მე, ელჩი, მოველი იმ ადგილებიდან საბჭოთა კატერებისა და კუნძულებზე მყოფი სამხედრო პატრულების რაც შეიძლება სწრაფად გაყვანას. ამხ. ლიტვინოვმა დაადასტურა, რომ ეს სავსებით შეესაბამება იმ წინადადებას, რომელიც მან გააკეთა მოლაპარაკების დასაწყისში და განიმეორა წინადღით გამართულ საუბარში. ამხ. ლიტვინოვმა აღუთქვა, რომ დაუყოვნებლივ მოელაპარაკება სათანადო ხელისუფალთ, რომელნიც საჭირო განკარგულებებს გასცემენ. ელჩის კითხვაზე შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ ამის შემდეგ აღდგენილი იქნება წინათ არსებული მდგომარეობა ამხ. ლიტვინოვმა უარყოფითად უპასუხა და განმარტა, რომ დარჩება წინანდელი მდგომარეობა, როდესაც ორივე მხარე თავიანთ პრეტენზიებს აცხადებდენ კუნძულებზე და რომ სიწყნარის ჩამოვარდნის შემდეგ შესაძლებელი იქნება შეუდგნენ ამ პრეტენზიების ურთიერთგანხილვას. ელჩი დაეთანხმა, რომ შემდგომ შესაძლებელი იქნება შეუდგნენ სასაზღვრო ხაზის დემარკაციას მდინარე ამურზე. ამხ. ლიტვინოვმა დააზუსტა, რომ სასაზღვრო ხაზის გაყვანა განსაზღვრავს კუნძულების კუთვნილებას ამა თუ იმ მხარისადმი.

ზემოაღნიშნულის თანახმად, თავდაცვის სახალხო კომისარიატმა გუშინვე გასცა განკარგულება, რომ ხსენებული კუნძულებიდან გამოყვანილ იქნას საბჭოთა სამხედრო კატერები და შეიარაღებული პატრულები.

◇ ◇ ◇

რომენ როლანი საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა პავილიონის შესახებ

პარიზი, 22 ივლისი. (საქდესი). პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე საბჭოთა პავილიონი დაათვალიერა შესანიშნავმა ფრანგმა მწერალმა რომენ როლანმა, რომელმაც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი. „გამოფენაზე შესვლისთანავე, ტროკადეროს ქიმკრის წინ,—ამბობს როლანი, — გაოცებთ წარმტაცი აღმაფრენა, მისწრაფება ნამგლიანი და ჩაქუჩიანი ჯგუფისა, რომელიც საბჭოთა პავილიონს აგვირგვინებს. ეს არის მონუმენტალური ქანდაკების შედევრი“. შემდეგ რომენ როლანმა აღნიშნა, რომ მთელს საერთაშორისო გამოფენაზე გაბატონებულია სენის ნაპირებთან ერთიმეორის პირდაპირ მოთავსებული პავილიონების დაპირისპირება—ფაშისტური გერმანიისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა.

„საბჭოთა პავილიონის შიგნით,— სთქვა რომენ როლანმა,—მე განსაკუთრებით აღტაცებაში მოვყავდი (რაც სავსებით ბუნებრივია მწერლისათვის) წიგნის სტენდსა და ხალხური ხელოვნების სტენდს. მე სიამოვნებით ვათვალიერებდი საუცხოო დიაგრამებს და სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც განსაკუთრებით და ხელშესახებად მოწმობენ საბჭოთა მრეწველობის მძლავრ განვითარებას, როგორც ყოველთვის. ახლაც გამოირჩევა საბჭოთა ფილმები. „ბალტიკის დეპუტატი“ მოასწავებს დატას კინოხელოვნებაში. უნდა მივულოცოთ ავტორებსა და აქტიორებს. მოცემულია აგრეთვე რამდენიმე დოკუმენტალური ფილმი, რომლებიც ცხადჰყოფენ საბჭოთა კავშირის მქეფარე ცხოვრებას“.

◇ ◇ ◇

გერმანიის თვითმფრინავთა ჯაშუშური გაფრენები სკანდინავიაზე

სტოკჰოლმი, 1 ივლისი (საქდესი). სკანდინავიის პრესა შეშფოთებით იუწყება, რომ უკანასკნელ დღეებში სკანდინავიის ქვეყნების ბევრ პუნქტში შემჩნეულია გერმანიის თვითმფრინავთა გაფრენები, თუმცა ამის არავითარი ნებართვა მათთვის სკანდინავიის ქვეყნების ხელისუფალთ არ მიუციათ. გერმანიის თვითმფრინავთა ჯაშუშურმა გაფრენებმა დიდი აღშფოთება გამოიწვიეს სკანდინავიის ქვეყნების მოსახლეობაში.

○ ◇ ○

ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ძალების უფროსი გენერალი ვესტოვერი მიულოცავს ამხ. ვოდოპიანოვსა და მის თანამებრძოლებს

ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ძალების უფროსმა ავიაციის გენერალ-მაიორმა ო. **ვესტოვერმა** მოსკოვში მყოფ აშშ-ის სამხედრო ატაშეს პოდპოლკოვნიკ ფ. ფეიმონვილის საშუალებით გამოგზავნა შემდეგი წერილი და ითხოვა ამ წერილის შინაარსი მოხსენებოდა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხ. კ. ე. **ვოროშილოვს,** საბჭოთა კავშირის გმირს მფრინავ ამხ. **ვოდოპიანოვს** და მისი ჯგუფის სხვა მონაწილეებს:

„გთხოვთ მიიღოთ პირადად ჩემგან და ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან მილოცვანი და საუკეთესო სურვილები 21 მაისს რუდოლფის კუნძულიდან ჩრდილოეთის პოლუსზე დიდი ოთხმოტორიანი საბჭოთა თვითმფრინავ „ანტ—6“-ის გადაფრენის წარმატებით დამთავრების გამო.

ეს გადაფრენა ცხადად გვიჩვენებს არა მარტო პილოტ ვოდოპიანოვისა და მისი ჯგუფის სხვა წევრების შესანიშნავ საფრენოსნო თვისებებს, არამედ საბჭოთა საავიაციო ინჟინრებისა და კონსტრუქტორების მიღწევებსაც. ამ მიღწევებმა პირველად გახადეს შესაძლებელი ჩრდილოეთის პოლუსის დაუფლება და ამ „მსოფლიოს სახურავის“, როგორც ბაზის გამოყენება პრაქტიკული სატრანსპორტო მიზნებისათვის. ეს დიდად შეუწყობს ხელს მსოფლიოს საჰაერო გზების შემოკლებას.

საჰაერო ძალების უფროსი
ავიაციის გენერალ-მაიორი —
ო. ვესტოვერი“.

◇ ◇ ◇

დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ამხ. ვ. მ. კურსკის, ს. ნ. მირონოვის, ს. პ. პოპოვის, ა. პ. უსპენსკის და სხვ. დაჯილდოვების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მთავრობის უმნიშვნელოვანეს დავალებათა სანიმუშო და თავდადებით შესრულებისათვის დაჯილდოვებულ იქნან:

ლენინის ორდენით:

1. **კურსკი** ვლადიმერ მიხეილის-ძე
2. **მირონოვი** სერგო ნაუმის-ძე.
3. **პოპოვი** სერაფიმე პავლეს-ძე.
4. **უსპენსკი** ალექსანდრე პავლეს-ძე.

„წითელი ვარსკვლავის“ ორდენით:

1. **გოლუბჩიკი** მიხეილ ოსიპის-ძე
2. **გრეჩუხინი** დიმიტრი დიმიტრის-ძე
3. **ნევსკი** ალექსანდრე პავლეს-ძე
4. **სალამოვი** გიორგი ალექსანდრეს-ძე
5. **იარალიანცი** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე

„საპატიო ნიშნის“ ორდენით:

1. **ბოჩაროვი** ივანე იაკობის-ძე.
2. **პასტოხოვი** კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე მ. კალინინი.
სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი
1937 წ. 2 ივლისი.

◇

გასწორება

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებაში“, რომელიც „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, მე-15 მუხლის დასაწყისში სიტყვები „ამომრჩევის მიერ“ — ზედმეტია. აგრეთვე ზედმეტია მე-17 მუხლის უკანასკნელი სიტყვები: „სამი დღის ვადაში“.

მე-48 მუხლის „დ“ პუნქტის მეხუთე სტრიქონში სწერია „კონისიაში“, უნდა იყოს „კომისიაში“.

მე-55 მუხლის მეთერთმეტე სტრიქონში სწერია „კოსიებს“, უნდა იყოს „კომისიებს“.

მე-88 მუხლის პირველ სტრიქონში სწერია „შედგების“, უნდა იყოს „შედეგების“.

მე-106 მუხლის მეექვსე სტრიქონში სწერია „საჭოს“, უნდა იყოს „საბჭოს“.

მე-110 მუხლის მერვე სტრიქონში სწერია „არრჩევნების“, უნდა იყოს „არჩევნების“.

საქდესის მიზეზით დაშვებულია შემდეგი შეცდომები:

მე-19 მუხლის ზევიდან მეოთხე სტრიქონში „თავმჯდომარის“ ნაცვლად, უნდა იყოს „წარმომადგენელი“.

მე-39 მუხლი უნდა იწყებოდეს ასე: „ეროვნებათა საბჭოს არჩევნების“ და ა. შ.

შ. მეგრელიძე

სატრაქტორო ბრიგადები

მტს-ის მთელი სატრაქტორო პარკი მუდმივ საწარმოო სატრაქტორო ბრიგადებად იყოფა. სატრაქტორო ბრიგადა გამოყოფილია ერთი წლით. ბრიგადების მუშაობაში მთავარია მათი საწარმოო საშუალებებითა და სამუშაო ძალით სწორი დაკომპლექტება. სატრაქტორო ბრიგადების მუშაობას განსაზღვრავს კოლმეურნეობაში შესასრულებელ სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა პროცესების (ხვნა, თესვა, ფარცხვა, მოსავლის აღება) ხვედრითი წონა, მექანიზაციის დონე, კოლმეურნეობისათვის მიცემული სპეციალიზებული დავალება, კოლმეურნეობის ცოცხალი გამწევი ძალით უზრუნველყოფა, სატრაქტორო ბრიგადაზე მიმაგრებულ საწარმოო საშუალებათა და კადრების ოდენობა. სატრაქტორო ბრიგადების მუშაობის უკეთესი ორგანიზაციისათვის საჭიროა იმ კოლმეურნეობათა დეტალური შესწავლა და სატრაქტორო სამუშაოთა დაგეგმვა, სადაც ტრაქტორთა ბრიგადებს მუშაობა მოუხდებათ. სატრაქტორო ბრიგადა უნდა დაკომპლექტდეს საწარმოო საშუალებებისა და კადრების ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს მათზე მიმაგრებული კოლმეურნეობის ან კოლმეურნეობათა ჯგუფში გათვალისწინებულ სატრაქტორო სამუშაოთა შესრულებას დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში, ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით.

სატრაქტორო ბრიგადის ერთი მარკის ტრაქტორებით დაკომპლექტება დაუშვებელია. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ მტს-ებზე, რომლის მომსახურებაში მყოფი კოლმეურნეობები ერთნაირ კულტურებს არ აშენებენ და არც ნიადაგის ქიმიურ-ფიზიკური თვისებები, ხვედრითი წინაღმდეგობა, გეოგრაფიული განლაგება და ტოპოგრაფიული მდებარეობა აქვთ ერთნაირი.

სატრაქტორო ბრიგადას საწარმოო საშუალებები სპეციალურად აქტით მიემაგროს. მანქანა-ტრაქტო[illegible]ნიკურ მდგომარეობაზე და [illegible] პასუხიმგებლობა ბრიგა[illegible] ბრიგადის შე[illegible]ლებები მიმაგრება ბრიგადის წევრებს. საწარმოო საშუალებათა უგეგმოდ გადასროლა ბრიგადიდან ბრიგადაში დაუშვებელია. სწორად დაკომპლექტებულ ბრიგადაზე კოლმეურნეობას ან კოლმეურნეობათა ჯგუფს ერთი წლით ამაგრებენ.

სატრაქტორო ბრიგადის სიდიდე ძირითადად განისაზღვრება ტრაქტორების, მისაბმელი მანქანების, სალეწი მანქანების, სხვა საწარმოო საშუალებებისა და ბრიგადაში მომუშავე კადრების რაოდენობით. ბრიგადების სიდიდის განსაზღვრისას საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა. გათვალისწინებულ უნდა იქნას აგრეგატის გამომუშავების ნორმები, სამუშაოთა შესრულების ვადები.

სატრაქტორო ბრიგადის მიმაგრებას ერთ კოლმეურნეობაზე ის დადებითი თვისებები ახასიათებს, რომ ბრიგადის მუშაკები ზედმიწევნით კონკრეტულად შეისწავლიან კოლმეურნეობის მიწის მასივებს, კულტურების გაშენების აგროტექნიკას და უკეთესად შესძლებენ შრომის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა მთელი სისტემის გატარებას. საქართველოს მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების აბსოლუტური უმრავლესობა 4-10 კოლმეურნეობაში მუშაობს. აგარის, კასპისა და ყვარლის მტს-ების მხოლოდ 4 სატრაქტორო ბრიგადაზეა მიმაგრებული თითო კოლმეურნეობა. მახარაძის მტს-ის თვითეულ სატრაქტორო ბრიგადაზე 9-10 კოლმეურნეობა მოდის. იგივე ითქმის ლაგოდეხის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებზე. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სატრაქტორო ბრიგადები კოლმეურნეობათა გაცილებით ნაკლებ რაოდენობაზე იქნას მიმაგრებული.

სატრაქტორო ბრიგადებს საწარმოო დავალება უნდა მიეცეთ. იგი მტს-ის საწარმოო-საფინანსო და კოლმეურნეობის საწარმოო გეგმის შემადგენელი ნაწილია. ეს დავალება შედგენილია სასოფლო-სამეურნეო წლის მთელ მანძილზე და დაკავშირებულია კოლმეურნეობის მემცენარეობის ბრიგადის საწარმოო დავალებასთან. კარგად შემუშავებული საწარმოო დავალება უზრუნველჰყოფს კოლმეურნეობის მემცენარეობის ბრიგადებისა და სატრაქტორო ბრიგადების სწორ შეხამებას. ამ უკანასკნელს კი დიდი მნიშვნელობა აქვს მტს-ის მექანიკური და კოლმეურნეობის ცოცხალი გამწევი ძალის რაციონალურად შეხამებისა და გამოყენებისათვის.

სატრაქტორო ბრიგადებისა და კოლმეურნეობის მემცენარეობის ბრიგადის უკეთესი შეხამებისათვის საჭიროა აგრეთვე მემცენარეობის მუდმივი საწარმოო ბრიგადების შექმნა თესლთბრუნვის მთელი ვადით, ხოლო მრავალწლოვანი კულტურების ხაზით—5-7 წლის ვადით, საჭიროა აგრეთვე ტრაქტორით დასამუშავებელი მიწების სწორი განაწილება ბრიგადებს შორის და მიწების ერთ მასივში მოთავსება, შესასრულებელ სამუშაოთა სახეების დანაწილება, სამუშაოთა მოცულობის განსაზღვრა, გამომუშავების ნორმების დაწესება, სამუშაოთა შესრულების დროის გამონაგარიშება და სხვ.

ყველა სატრაქტორო სამუშაოზე გამომუშავების ნორმები უნდა დაწესდეს. ნორმა სდგება 10-საათიანი სამუშაო დღის მიხედვით. გამომუშავების ნორმების შემუშავება მტს-ის საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენას უნდა დაუკავშირდეს. ნორმირება წარმოების კონკრეტულ პირობებს უნდა ასახავდეს. ცალკეულ ბრიგადებში ნორმები უნდა შესდგეს დიფერენცირებულად მოცემულ მომენტში ტრაქტორების ტექნიკური მდგომარეობის, მათი მუშაობის პირობების, ნიადაგის ხასიათის, მისაბმელი მანქანების ტექნიკური მდგომარეობის და სხვა პირობების მიხედვით. ნორმის მექანიკურად დაწესება არ შეიძლება. სამუშაოთა ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულება ნორმირების გამოსავალი წერტილია. სამუშაოთა ნორმირებისას გათვალისწინებულ და გამოყენებულ უნდა იქნას სტახანოველი ტრაქტორისტების საწარმოო გამოცდილება, მათი მუშაობის მეთოდი, ნორმის შესრულების შედეგები წარსულ წლებში. გამომუშავების ნორმები საწარმოო თათბირმა და მტს-ის საწარმოო საბჭომ უნდა განიხილოს აგროტექნიკურ და ტექნიკურ მუშაკთა ფართო მონაწილეობით და დაიყვანოს სატრაქტორო ბრიგადამდე და ტრაქტორისტებამდე. სამუშაოთა სწორი ნორმირება უზრუნველჰყოფს სატრაქტორო პარკის რაციონალურ გამოყენებას.

მუშაობის სტახანოვური მეთოდების დანერგვის შედეგად საქართველოს მტს-ებს სტახანოველთა საკმაოდ დიდი არმია ჰყავთ. აგარის მტს-ის ორდენოსანმა ტრაქტორისტმა ლევან რუსიშვილმა შარშან ტრაქტორ „სტზ“-ით თავის ცვლაში 1449 ჰექტარი მოხნა, თელავის მტს-ის სტახანოველმა ტრაქტორისტმა დ. გარაყანიძემ ტრაქტორ „სტზ-“ზე საშუალო დატვირთვა 1296 ჰექტარი მოგვცა, ულიანოვკის მტს-ის ორდენოსანმა ტრაქტორისტმა არსენ მოხევემ ხვნაზე 1162 ჰექტარი გამოიმუშავა. ეს მიღწევები გათვალისწინებული უნდა იქნას ნორმების დადგენისას.

სატრაქტორო ბრიგადები სამუშაოთა მთავარ სახეზე—ხვნაზე პროგრესიული სანარდო სისტემის საფუძველზე მუშაობენ. ფარცხვასა, თესვასა, კულტივაციასა და სხვა სამუშაოებზე მარტივი სანარდო სისტემაა შემოღებული.

ტრაქტორისტების შრომის ანაზღაურებაში გათანაბრება ლიკვიდირებულ უნდა იქნას. პირველი კატეგორიის ტრაქტორისტებს დამატებით დაერიცხებათ 0,1 შრომადღე.

ტრაქტორისტის მტს-ზე მიმაგრებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ტრაქტორისტს, რომელიც მოცემულ მტს-ში 2 წელზე მეტს მუშაობს, შესრულებულ სამუშაოთა ყველა შეფასება 10 პროც. გაუდიდდება.

ტრაქტორისტების მიერ გამომუშავებული შრომადღეების ანაზღაურება უნდა მოხდეს ისე, როგორც კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეებისა. აღმოსავლეთ საქართველოს მტს-ების უმრავლესობაში ტრაქტორისტების შრომის ანაზღაურება საგარანტიო მინიმუმის მიხედვით ხდება. ამ შემთხვევაში ტრაქტორისტს შრომადღეზე ეძლევა 2 მან. 50 კაპ. ფულად და 3 კგრ. მარცვალი.

ადგილობრივი სპეციფიკური პირობების მიხედვით ყველა მტს-ში ტრაქტორების მთელი წლით გამოყენება როდია მოსახერხებელი. ზამთრის პერიოდში მტს-ების ძირითადი საქმიანობა რემონტის ორგანიზაციაა. ტრაქტორისტი სარემონტო სამუშაოზე უნდა იქნას გამოყენებული. რემონტზე მომუშავე ტრაქტორისტს შრომას კოლმეურნეობა და მტს-ი უნაზღაურებენ. კოლმეურნეობა, სადაც ტრაქტორი მუშაობდა, ვალდებულია დაურიცხოს ტრაქტორისტს რემონტზე დაწესებული დღიური ნორმის შესრულებისათვის ერთ შრომადღემდე. მტს-მა კი ტრაქტორისტს რემონტზე მომუშავე მუშის ჯამაგირის ნახევარი უნდა მისცეს.

სატრაქტორო ბრიგადის საწარმოო დავალებების ვადაზე, გადამეტებით და ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულება დიდად არის დამოკიდებული ბრიგადირის უნარიან, მუყაით მუშაობაზე. ბრიგადირი მტს-ში დიდი ფიგურაა. ეს არ უნდა იქნას დავიწყებული.

სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის შრომის ანაზღაურების მოწესრიგება მტს-ის დირექციას ევალება. ბრიგადირის შრომის ანაზღაურების სიდიდე ბრიგადის წევრთა ნაყოფიერ მუშაობაზეა დამოკიდებული. ტრაქტორისტების მიერ გამომუშავებული შრომადღეების მატებასთან ერთად ბრიგადირის შრომის ანაზღაურებაც მატულობს. ბრიგადირს უნდა დაერიცხოს ბრიგადაში მომუშავე ტრაქტორისტებიდან ერთი ტრაქტორისტის საშუალო გამომუშავება 30 პროცენტის დამატებით. ტრაქტორისტის საშუალო გამომუშავება მოცემული ბრიგადის ორივე ცვლაში შესრულებულ სამუშაოს მიხედვით უნდა ვიანგარიშოთ. უნდა გამოვიანგარიშოთ ტრაქტორისტების გამომუშავების ჯამი და მიღებული რიცხვი ბრიგადის ორივე ცვლის ტრაქტორისტების რაოდენობაზე გავყოთ.

ასეთივე წესით ხდება ცვლაში ბრიგადირის თანაშემწეების შრომის ანაზღაურება. შრომის ორგანიზაცია სატრაქტორო ბრიგადებში სანიმუშოდ უნდა დავაყენოთ,—ასეთია ამოცანა.

◆



ყარაიას რაიონში ბამბა აყვავილდა. წელს პირველად რაიონში ტარდება ბამბისნათესთა კულტივაცია სპეციალური მანქანით. სურათზე: ბამბის კულტივაცია ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

რატომ არ სრულდება ჩაის კრეფის გეგმა

(მახარაძე, „კომუნისტის" სპეციალური ბრიგადისაგან)

რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა მაისში სახელმწიფოს დააკლეს 99.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 39 კოლმეურნეობიდან კრეფის გეგმა მაისში მხოლოდ 11 კოლმეურნეობამ შეასრულა. ჩაის ფოთლის მოსავალი ყველგან უხვი იყო, მაგრამ ვერ უზრუნველჰყვეს მისი წესიერად კრეფა, რამაც გამოიწვია დიდი დანაკარგები და გეგმის შეუსრულებლობა.

ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებს მაისის გაკვეთილიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოეტანათ და გაეძლიერებინათ მუშაობის ტემპები, მაგრამ აქ პირიქით მოხდა. ივნისში, გაძლიერების ნაცვლად, კიდევ უფრო შენელდა მუშაობა და მთელ რიგ კოლმეურნეობებში კრეფის გეგმა ჩაიშალა.

მაისის დანაკლისის ჩათვლით ივნისში რაიონს 1.152.655 კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფა. ფაქტიურად კი ეს გეგმა 25 ივნისისათვის მხოლოდ 34,2 პროცენტით იყო შესრულებული.

ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით ივნისის გეგმის შესრულება კიდევ უფრო ნაკლებია. მაგალითად, სოფ. ვაკიჯვრის კოლმეურნეობას ჩაის კრეფის ივნისის გეგმა 25 ივნისისათვის მხოლოდ 6,2 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, ცხემლის ხიდისას — 10,2, გომისას — 10,3-ით, წითელმთისას 13,2-ით, ლაითურის საბჭოთა მეურნეობას—28-ით, ნასაკირალისას — 20,5-ით, ანასეულის ჩაის საცდელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეურნეობას—20,5-ით და ა. შ.

გეგმის შეუსრულებლობას ზოგიერთები „ობიექტური" მიზეზებით ხსნიან: „სიცივეები იყო, ვეგეტაცია შეფერხდა, საკრეფი ფოთოლი არ არისო". ეს რა თქმა უნდა, არ არის მართალი. გეგმის შეუსრულებლობის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა, სუსტია დისციპლინა, არღვევენ კრეფის წესებს და დროზე არ ასრულებენ იმ სამუშაოებს (თოხნა, კულტივაცია, სასუქის შეტანა, მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ.), რომლებზედაც დამოკიდებულია ჩაის ვეგეტაციის დაჩქარება და ფოთლის სწრაფი ზრდა.

ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ჩაის კრეფის მაისის გეგმა ვერ შეასრულა, ხოლო ივნისის გეგმა 25 ივნისისათვის აქ მხოლოდ 32,5 პროცენტით იყო შესრულებული. მოკრეფილი 9.480 კილოგრამი ჩაიდან 1895 კილოგრამზე მეტი სრულიად უხარისხოა. დამატებითი კვებისათვის აზოტოვანი სასუქების შეტანა პლანტაციებში 23 ივნისს დაიწყეს. 25 ივნისისათვის 272 ჰექტარიდან პლანტაციები მეორედ მხოლოდ 20 ჰექტარზე იყო გათოხნილი, პირველი კულტივაცია გაუკეთდა 89,5 ჰექტარს, მეორე კულტივაცია კი—28,6-ს.

ამ კოლმეურნეობის 28 ჰექტარ ჩაიში გავრცელებულია ჩრჩილი და ფარიანები, მაგრამ მათ წინააღმდეგ ბრძოლა დაუშვებლად ჭიანურდება. მექანიკური წესით პლანტაციების გაწმენდა მავნებლებისაგან ჩატარებულია 3,5 ჰექტარზე, ხოლო ქიმიური წამლობა—7,5 ჰექტარზე.

ბრიგადების შიგნით მუდმივი ჯგუფები ფორმალურადაა მოწყობილი. კოლმეურნეებმა არ იციან, რომელ ჯგუფში შედიან ან რომელ ნაკვეთზე არიან მიმაგრებული. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პლანტაცია სრულმოსავლიანია, ხოლო ზოგიერთი—ახალგაზრდა, არასრულმოსავლიანი ყველა ბრიგადისა და ჯგუფისათვის კრეფის ერთნაირი ნორმაა დაწესებული. სუსტია შრომის დისციპლინა, დაბალია შრომის ნაყოფიერებაც. 24 ივნისს იესე ცეცხლაძის ბრიგადაში 9 მკრეფავიდან მხოლოდ ერთი მუშაობდა. მეათე ბრიგადაში 20 ივნისს 5 მკრეფავმა მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ 9 კილოგრამი ჩაი მოჰკრიფა, მეთორმეტე ბრიგადაში 10 მკრეფავმა—21,6 კილოგრამი, ეს მაშინ, როცა თვითეულ მკრეფავისათვის დღიურ ნორმად 10—12 კილოგრამია დაწესებული.

ლიხაურის კოლმეურნეობის მაგალითი გამონაკლისი როდია. მსგავსი მდგომარეობაა რაიონის დანარჩენ კოლმეურნეობებშიც. მაგალითისათვის ავიღოთ მაკვანეთის კოლმეურნეობა. აქ ჩაის არცერთი სამუშაო არ სრულდება წესიერად: აგვიანებენ თოხნას, კულტივაციას და სადრენაჟო არხების გაყვანას, ჰკრეფენ უხარისხოდ, არ ასრულებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებას.

მაკვანეთის კოლმეურნეობამ ჩაის კრეფის მაისის გეგმა 68 პროცენტით შეასრულა, ივნისისა კი—18,5-ით. მუდმივი ჯგუფები 12 ბრიგადიდან მხოლოდ 2 ბრიგადაშია მოწყობილი, ისიც არაწესიერად. ჯგუფებს ჩაისთან ერთად აქ 5-7 წლით მიამაგრეს მანქანა-იარაღები, გამწევი ძალა, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები (სიმინდი, ტუნგო, თხილი, ხეხილი და სხვ.), გამოუყვეს ხელმძღვანელი და, ამრიგად, საკოლმეურნეო ბრიგადის შიგნით ჯგუფის ნაცვლად შეჰქმნეს მუდმივი ბრიგადები, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ლაშეკირულის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. მენაბდემ მუდმივი ჯგუფების მოწყობა მხოლოდ ქაღალდზე გააფორმა. კოლმეურნეებმა არ იციან თავიანთი ჯგუფი და ნაკვეთი და ისინი ერთად ბრიგადულად მუშაობენ. შუაბახვის, თხინვალის, ძიმითის და მელექედურის კოლმეურნეობებში დროზე ვერ გამოამჟღავნეს კლასობრივი მტრის ნაბოლარები, რომლებიც აფერხებდნენ ჩაის კრეფის გეგმის შესრულებას. მშვიდობაურის, ნატანების შრომის, ნაგომრის, ჯუმათის, ხვარბეთისა და ნაღობილევის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, რომლებმაც მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, ივნისში თვითდამშვიდებას მიეცნენ და სამარცხვინოდ ჩამორჩნენ.

მახარაძის რაიონს ჰქონდა თუ არა იმის საშუალება, რომ ჩაის კრეფის ივნისის გეგმა შეესრულებინა?

უსათუოდ ჰქონდა, მაგრამ იგი ვერ გამოიყენეს. ამას ადასტურებს მოწინავე საკოლმეურნეო ბრიგადებისა და კოლმეურნეობათა მაგალითები. მერიის კოლმეურნეობამ მაისის გეგმა 101,6 პროცენტით შეასრულა, ხოლო ივნისის გეგმის შესრულებაში ყველას გაუსწრო. 25 ივნისისათვის ამ კოლმეურნეობას თვიური გეგმა 74,8 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. სხვებთან შედარებით სოფ. მერიის კოლმეურნეობაში უკეთესადაა მოწყობილი შრომა, პლანტაციებს აქ დროზე თოხნიან, აწოყიერებენ და წესიერად ჰკრეფენ, მცირეა გაცდენებიც და ხელმძღვანელობაც ოპერატიულია.

მახარაძის რაიონმა წელს 6.207.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა ჩააბაროს სახელმწიფოს. ამ მეტად სერიოზული და საპატიო დავალების ბოლშევიკურად შესრულება შეუძლებელია, თუ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა არ მიიღეს გადამჭრელი ზომები ჩაის კრეფაში არსებული ჩამორჩენისა და შემჩნეულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის.

ტ. აცანელი
მ. დარჩია

პარტიულ თემაზე

ახალი პარტორგი დაივიწყეს!

ორი თვის წინათ ლაგოდეხის მტს-ის პარტორგანიზაციის კრებაზე ფარული კენჭისყრით აირჩიეს ახალი პარტორგანიზატორი ამხ. ვ. მოდებაძე.

ეს კრება თავიდან კარგად დაიწყო, კრიტიკაც იყო და თვითკრიტიკაც. კამათში გამოსულმა კომუნისტებმა საქმიანი წინადადებებიც შემოიტანეს. მაგრამ კრების ხელმძღვანელებმა აქედან სათანადო პრაქტიკული დასკვნების გამოტანა ვერ შესძლეს (თუ არ მოისურვეს?), პრაქტიკული ღონისძიებების შედგენა „დაიზარეს" და კრების თავმჯდომარის წინადადებით სპეციალური კომისია აირჩიეს, რომელსაც დაავალეს ამ „სასხვათაშორისო" საქმის შესრულება.

კრების მეორე დღეს კომისიის ზოგიერთმა წევრებმა მართლაც შეადგინეს „პრაქტიკული ღონისძიებანი" და გადასცეს ახალ პარტორგს. პარტორგმა—ასლი რაიკომს გადაუგზავნა—დედანი ოქმთა დავთარში ჩააკერა.

მას შემდეგ გავიდა ორი თვე. მტს-ის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა, გარდაქმნისა და გაუმჯობესების ნაცვლად, შესუსტდა და მოდუნდა, ახალი პარტორგი სერიოზულად დააფიქრა ამ მდგომარეობამ.

— რატომ არავინ მეხმარება?! — შეეკითხა ის თავის თავს, — აკი პარტორგად არჩევისას რაიკომიდან აქტიური დახმარება აღმითქვეს?! მერე რატომ არ ასრულებს რაიკომი დაპირებას?!

რაიკომის ინსტრუქტორი ამ ხნის განმავლობაში ერთხელ იყო მტს-ის პარტორგანიზაციაში. სულ ცოტა ხნით შემოიარა პარტორგთან. პარტორგმა მოასწრო და უთხრა, ჩვენს პარტორგანიზაციასთან ჯერჯერობით თანამგრძნობთა ჯგუფი არ არსებობსო. სამი თანამგრძნობი, რომლებიც გასული წლის გაზაფხულზე მტს-ის პარტიულმა კრებამ მიიღო, რაიკომის მიერ ჯერაც დაუმტკიცებელიაო.

— ნუთუ! — გაიკვირვა რაიკომის ინსტრუქტორმა, თანამგრძნობთა დამტკიცების საკითხი ამდენხანს ჭიანურდება? ჰმ! ეგ არ ვიცოდი—მალე გამოვასწორებ... აუცილებლად გამოვასწორებ...

— ასეთი პირობით დაშორდა ინსტრუქტორი პარტორგს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ინსტრუქტორი მტს-ის პარტორგანიზაციას აღარ გაჰკარებია.

მტს-ის პარტორგანიზაციაში განა მარტო თანამგრძნობთა ჯგუფის საკითხია მოუგვარებელი? აქ საგიტაციო მუშაობაც მოუწესრიგებელია. აგიტატორები რამდენიმე თვის წინათ გამოუყვიათ, მაგრამ მათ ჯერჯერობით საგიტაციო მუშაობისათვის თავი არ შეუწუხებიათ. ერთხელ პარტორგმა მოიწვია აქტივისტები და დასვა საკითხი პოლიტიკური აგიტაციის ორგანიზაციის შესახებ.

— ვიმსჯელეთ, ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ პოლიტიკური აგიტაცია უკეთესად მოგვეწყო, — ამბობს პარტორგი, — მაგრამ პრაქტიკულად დღესაც ჩაშლილია საგიტაციო მუშაობა...

აქ არც პროპაგანდისტული მუშაობაა მოწესრიგებული. პარტიულ წრეში გაერთიანებულია „ჭრელი" ცოდნის ხალხი. პარტიული წრის ხელმძღვანელი —თვითონ პარტორგი ამხ. ვ. მოდებაძე სუსტად ემზადება მეცადინეობის ჩასატარებლად. რაიკომთან არსებობს პროპსემინარი, მაგრამ ამხ. მოდებაძე მას იშვიათად ესწრება.

აბა გადავხედოთ, როგორ ასრულებენ აქ საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე მიღებულ პრაქტიკულ ღონისძიებებს?

...მაგრამ სანამ შესრულებას შევამოწმებდეთ, ჯერ ვნახოთ, თვით ეს ღონისძიებები რას წარმოადგენენ. ისინი ზოგადი ხასიათისაა. შიგ ხშირად სწერია: „დაევალოს პანიევს", „მიეთითოს პანიევს", „მოამზადოს პანიევმა", „მოგვახსენოს პანიევმა", ერთი სიტყვით, — 6 მუხლი პანიევს ეხება —დანარჩენი ზოგადია. ვინ არის ამხ. პანიევი? მტს-ის დირექტორი, რომელიც კრებამ პრაქტიკულ ღონისძიებათა შემდგენელ კომისიაში გამოჰყო, მაგრამ მან ამ ღონისძიებათა შედგენაში მონაწილეობა ვერ მიიღო.

ყველაზე მეტი დანაშაული პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებისა ის არის, რომ ეს არ განუხილავთ პარტიულ კრებაზე, პარტიულმა მასამ არ იცის, რა ღონისძიებები მიიღეს მათ საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე. არცერთი მოკამათის წინადადება არ არის შეტანილი. კომისიამ აშკარად თავზე მოახვია მტს-ის პარტორგანიზაციის წევრებს უხეიროდ, კანცელარულ - ბიუროკრატულად შედგენილი „პრაქტიკული ღონისძიებანი". შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპის დარღვევა ამაზე შორს ვერ წავა.

პარტორგმა პირველად რომ წაიკითხა, მხრები აიჩეჩა და სთქვა, —რა ვიცი, აქედან რა გავაკეთო, ეს ღონისძიებები კონკრეტულად არაფერს მაკისრებსო. ეს გაკვირვება სამართლიანი იყო... ხოლო ღონისძიებათა შემდგენელი კომისიის წევრმა კალანდაძემ ნიშნისგებით განაცხადა: „ჩვენ ღონისძიებანი შევადგინეთ და ახლა მათი შესრულება პარტორგს ეკისრებაო".

აი როგორ ეხმარებიან აქ ახალ პარტორგს. პარტიული ამხანაგები კალანდაძე, პანიევი და სხვები, რომელთაც მეტი გამოცდილება აქვთ, საქმის გამოსწორებას კი არ ცდილობენ, არამედ განზე დგანან და გაიძახიან—ახლა ყველაფერი ახალმა პარტორგმა გააკეთოსო.

რაიკომსაც დაავიწყდა ახალი პარტორგი... აი რატომ შესუსტდა პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა მტს-ის პარტორგანიზაციაში.

ა. გვინჩიძე

კალინინის სახ. ქარხნის ორდენოსანი ამხ. კაკნაძე თავის სამუშაო დაზგასთან

პურ-მარილის ქეიფი

(ლანჩხუთი, „კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან)

სახ. ბანკის ლანჩხუთის რაიგანყოფილების ყოფ. მმართველს შოთა ვაშალომიძეს იშვიათად შეხვდებოდით ფხიზელს. ის თითქმის ყოველდღე ღვინით გალეშილი იყო. მას ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

2 წელი დაჰყო ვაშალომიძემ სახ. ბანკის განყოფილების მმართველად. ცნობილია, რომ ხარჯვას ფულები უნდა, ხოლო ფულებს კი — შოვნა. ფულის შოვნის გზად და წყაროდ შოთამ კომბინაციები, ქრთამები და ქულიკობა აირჩია.

ვაშალომიძემ ჯერ კიდევ მახარაძის რაიონში მუშაობის დროს დაიწყო ეს გათახსირებული ხელობა და ლანჩხუთში გააგრძელა იგი. მაგრამ მიმდინარე წლის აპრილის რიცხვებში წაუხდინეს ქეიფის მადა და პასუხისგებაში მისცეს, როგორც გამფლანგველი და კომბინატორი.

აი რამდენიმე ფაქტი ვაშალომიძის ქულიკობისა და კომბინატორობისა.

ის უკანონოდ აძლევდა კრედიტებს ზოგიერთი ორგანიზაციის წარმომადგენლებს და თანხებსაც ძმა-ბიჭურად ანაწილებდა. გასულ წელს ვაშალომიძემ სესხი მისცა სარეწაო კავშირის ნიგვზიანის არტელ „ლესნოი ტრუდის" წარმომადგენელს ვიღაც მახარაძეს 39.800 მანეთის რაოდენობით.

არ არსებობდა არავითარი გარანტია და შესაძლებლობა ამ სესხის გასაცემად, მაგრამ ვაშალომიძემ გვერდი აუარა საფინანსო დისციპლინას და საქმე თავისი სურვილისამებრ მოაჭახრაკა. „ლესნოი ტრუდის" წარმომადგენელს მახარაძეს და ვაშალომიძეს ეს ფული მალე „შემოელიათ". საჭირო იყო დამატებითი თანხების მიღება. ვაშალომიძემ კიდევ მისცა სესხად აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელს 35.200 მანეთი.

სესხის მისაცემად ვაშალომიძემ კომბინაციის მეორე გზაც გამონახა. ლანჩხუთის ადგილობრივ მრეწველობას „ლესნოი ტრუდის" წარმომადგენელთან დაადებინა ხელშეკრულება შეშის დამზადების შესახებ და ადგილობრივ მრეწველობას შეშის შესაძენად მისცა სესხი 69.000 მანეთის ოდენობით. აქედან „ლესნოი ტრუდის" წარმომადგენელს მახარაძეს ადგილობრივი მრეწველობიდან გაუფორმა 29.000 მანეთი, ვინაიდან არტელ „ლესნოი ტრუდს" შეშა არ ჰქონდა დამზადებული, ადგილობრივმა მრეწველობამ ხელშეკრულება გააუქმა და „ლესნოი ტრუდს" სესხი გატანილი აღმოაჩნდა 104.000 მან. რაოდენობით.

მას შემდეგ ერთი წელი გადის, სახელმწიფო თანხის — 104.000 მანეთის გადახდაზე კი არავინ ფიქრობს. თუმცა, ბევრიც რომ ეცადონ „ლესნოი ტრუდის" წარმომადგენლებმა, მათ ამ თანხის ანაზღაურების არავითარი საშუალება არ გააჩნიათ. ან რატომ უნდა აანაზღაუროს არტელმა ეს თანხა, როდესაც იგი არტელისათვის არ მოუხმარებიათ.

საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო თანხები, რომელიც ვაშალომიძემ „ლესნოი ტრუდის" წარმომადგენელს მისცა, გაფლანგულია და განიავებული.

მარტო ამით როდი ამოიწურება ვაშალომიძის საქმენი საგმირონი. ის ითვლებოდა მონადირეთა კავშირის განყოფილების მომმარაგებლად. მონადირეთა კავშირიდან მას მიღებული ჰქონდა 7.550 მან. როდესაც ვაშალომიძეს მოსთხოვეს ამ თანხის დაფარვა, მან თავისი კომბინატორული ნიჭი აქაც გამოიჩინა და ცოტაოდენ ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა ყალბი საბუთის შედგენა. სახ. ბანკის ლანჩხუთის რაიგანყოფილების ბუხჰალტრებიც მხარში ამოუდგნენ შოთას („ძმა ძმისთვისო, შავი დღისთვისო"), შეუდგნენ ყალბი საბუთების დამზადებას, ამოიწერეს ავიზო — ვითომც მონადირეთა კავშირს ჩაერიცხა მის ანგარიშზე ვაშალომიძის ვალის დასაფარავად 2000 მან. მაგრამ ნათქვამია „ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო" და ვაშალომიძეს დანაშაულზე წაასწრეს.

შემდეგ ლანჩხუთის ნინოშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან ვაშალომიძემ გამოიტანა 3000 მან. ვითომც ინვენტარის შესაძენად, ფული ჩაიჯიბა და თეატრის ინვენტარის შეძენა აზრადაც არ მოსვლია.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ ვაშალომიძე გარიცხა პარტიის წევრობის კანდიდატობიდან, ქულიკი მოიხსნა სამუშაოდან.

როგორც წესი, გარიცხვისას ვაშალომიძეს მოსთხოვეს ჩამოსართმევად საკანდიდატო ბარათი, მაგრამ ქულიკს იგი ჯიბეზე არ აღმოაჩნდა. კვლევაძიების შემდეგ გამოირკვა, რომ ვაშალომიძეს საკანდიდატო ბარათი დატოვებული ჰქონდა თბილისში ვიღაც მახარაძესთან. ვინ არის ეს მახარაძე? ესეც ქულიკია, რომელიც პარტიის რიგებიდან გარიცხული იყო სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის და პასუხისგებაში იყო მიცემული 7 აგვისტოს კანონით.

ასეთია გადაგვარებული ვაშალომიძის „მოღვაწეობა".

ადგილობრივი საგამომძიებლო ორგანოები არც იმდენად დაინტერესდნენ ვაშალომიძის საქმის გამორკვევით, რადგან ვაშალომიძეს ერთი ჩვეულება აქვს, რამაც საგამომძიებლო ორგანოებს შეარბილებინა და მიაფუჩეჩებინა ვაშალომიძისათვის წაყენებული ბრალდებები. ეს ჩვეულება გახლავთ დაპატიჟება და ქეიფი, პურ-მარილი.

რატომ აჭიანურებენ ლანჩხუთის სასამართლო და პროკურატურა გამფლანგველ, ქულიკ შოთა ვაშალომიძის საქმის გარჩევას?

ვაშალომიძესთან ერთად პასუხი უნდა აგონ „ლესნოი ტრუდის" წარმომადგენელმა და მათმა მფარველებმაც.

სიტყვა რესპუბლიკის პროკურორს ეკუთვნის.

ფ. თოფურიძე

კურორტი სკური

საქართველო მდიდარია მინერალური სამკურნალო წყლებით. ამ წყლებს შორის თავისი სამკურნალო თვისებებით დიდი მნიშვნელობა აქვს სკურის წყალს. სკური მდებარეობს წალენჯიხის რაიონში. ეს წყარო, რომელსაც დიდად გაუვარდა სახელი, სოფლის მახლობელი კლდიდან გამოდის.

წყარო რაიონის ცენტრს 10 კილომეტრით არის დაცილებული. მისასვლელი გზებიც კარგად არის გაკეთებული და ტრანსპორტითაც უზრუნველყოფილია. წყლის შემადგენლობა 1928 წელს გამოიკვლიეს ქიმიკოსებმა კუპცისის ხელმძღვანელობით. დადასტურდა, რომ აღნიშნული წყაროს წყალი შეიცავს 12 სხვადასხვა ნივთიერებას: ქლორ-ლითიუმს, ქლორ-ნატრიუმს, ქლორ-კალციუმს, ბრომ-ნატრიუმს, ნახშირმჟავა ნატრიუმს, ნახშირმჟავა კალიუმს, ნახშირმჟავა რკინას, გოგირდმჟავა კალიუმს, გოგირდმჟავა ბარიუმს, გოგირდმჟავა ტრონციუმს, გოგირდმჟავა ალუმინიუმს, ტიტანის ორჟანგს და სხვ.

სკურის მინერალური წყალი შეიცავს კიროვან ნივთიერებებს და ეკუთვნის კიროვან წყალთა ჯგუფს. თავისი შემადგენლობით იგი წარმოადგენს ცნობილი კურორტის ბადენის (შვეიცარია) წყლის ანალოგს.

კურორტ სკურის სამკურნალო ფაქტორების მეცნიერულად შესწავლის მიზნით ხშირად იგზავნებოდა ექსპედიციები. უკანასკნელად 1936 წლის ზაფხულში მოეწყო საექიმო ექსპედიცია ექ. ვ. გერსამიას ხელმძღვანელობით. ექსპედიცია აწარმოებდა ლაბორატორიულ დაკვირვებებს, თუ რა გავლენას ახდენს ეს წყალი კუჭის სეკრეციაზე (წვენის გამოყოფა), აწარმოებდა ლაბორატორიულ და კლინიკურ დაკვირვებებს თირკმლების, საშარდე გზების, სისხლის მიმოქცევის ცვლილებებზე და სხვ. სკურის მინერალური წყალი, მეცნიერული შესწავლის მიხედვით, კუჭნაწლავის ქრონიკული დაავადებისას, შარდის ბუშტის ანთებისას, სისხლის მიმოქცევის ორგანოების დაავადებისას (გულის სუბკომპენსაციის ხანაში) იწვევს სისხლის წითელი ბურთულების მომატებას. გარდა ამისა, კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე სასუნთქი მილების კატარის (ბრონქიტის), რევმატიზმის, ნეკრისის ქარისა და ცანის დაავადების დროს.

კურორტ სკურის კლიმატური ფაქტორებიც ხელს უწყობს, ადგილი ჯანსაღია, არ არის მალარიის გამომწვევი მიზეზები. მდებარეობს მაღლობ ადგილას, ირგვლივ მწვანით შემოსილი მთებია. კურორტზე მოწყობილია სახლები, წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, აბანოს შენობა, საუკეთესო სასადილო, კოოპერატივები და სხვა. მადნეული წყლის დებიტი დღეღამეში 64 ათას ლიტრს უდრის, ხოლო წვიმის დროს 2-3-4-ჯერ მატულობს.

სკურის მადნეული წყლები ღირსია იმისა, რომ მათ სათანადო ყურადღება მიექცეს, დაიწყოს კურორტის გეოლოგიური კვლევაძიება, მადნეული წყალი ცალკე გამოიყოს, მოეწყოს მეტეოროლოგიური სადგური და სხვ. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უნარსა და მონდომებას გამოიჩენს საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველო, რომელსაც ამ მხრივ ჯერჯერობა ცოტა რამ აქვს გაკეთებული.

ექ. ნოე

შოთა რუსთაველი და ხალხური შემოქმედება

„ვეფხვის-ტყაოსანს" ისე გულმოდგინეთ, ღრმა მეცნიერულად და ღირსეულად არასოდეს არ სწავლობდნენ და არ კითხულობდნენ, როგორც ჩვენს დროს, სოციალიზმის ეპოქაში.

საიუბილეო მზადებასთან დაკავშირებით დიდი მუშაობა სწარმოებს. ის მიმართულია ერთი მხრით, „ვეფხვის-ტყაოსნის" მეცნიერულ შესწავლისაკენ, როგორც ეპოქის მონუმენტალური ძეგლისა; ხოლო მეორე მხრით იმ დროისა და გარემოს სრულყოფილი წარმოდგენისაკენ, რომელშიდაც მოღვაწეობდა და თავის უკვდავ ნაწარმოებს ქმნიდა ჩვენი სახელოვანი პოეტი.

„ვეფხვის-ტყაოსნის" დიდი პოპულარობა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ეს წიგნი თვითეული ოჯახისათვის უძვირფასეს საგანძურს წარმოადგენდა, რაც მშვენივრად არის გადმოცემული ხალხურ პოეზიაში:

ქალი მყავდა მშვენიერი
თავ მორთული კაოხანი,
გავათხოვე, გავატანე
ჩემი ვეფხვის ტყაოსანი...

მრავალმხრივი და განუზომელია შოთა რუსთაველის როლი ქართული კულტურის ისტორიაში. „ვეფხვის-ტყაოსანმა" წარუხოცელი კვალი დაამჩნია ჩვენი მწერლობის განვითარებას. კლასიკური ხელოვნების უკვდავი ძეგლი „ვეფხვის-ტყაოსანი" გადაიქცა „ხელიხელ საგოგმანებ მარგალიტად" და მის მიხედვით ყველა ისწრაფოდა „გრძელი სიტყვა მოკლედ ეთქვა, „მსმენელთათვის დიდი მარგი". შოთას გენიალური საკაცობრიო იდეები ომში მიმავალს გმირობას ჰმატებდა, დაჩაგრულს იმედს უსახავდა, რადგანაც „ბოროტი სძლია კეთილმან,—არსება მისი გრძელია". რუსთაველმა შემდეგდროინდელ მწერლობაში მიმბაძველობის, რუსთველობის მთელი მიმდინარეობა შეჰქმნა, რამაც უმაღლეს საფეხურზე აიყვანა პოეტის კულტი.

ხალხს უყვარს შოთას „ვეფხვის-ტყაოსანი" და ყოველ ნაბიჯზე მას უმღერის. სოფლებში მოიპოვება არა ერთი მოხუცი, წერა-კითხვის უცოდინარი ან მცირე მცოდნე, რომელმაც ზეპირად იცის შოთა რუსთაველის დიდებული პოემა. შოთას აფორიზმები, ბრძნული გამოთქმები ხომ საუბრის განუყრელი ნაწილია; რა საკითხზედაც არ უნდა ჩამოვარდეს ბაასი, მოსწრებულ პასუხს მუდამ შოთას აზრებით გეტყვიან. აუწერელია ხალხის სიყვარული. დიდებული პოეტი ისეა შერწყმული ხალხთან, რომ ხშირად ზღვარიც კი წაშლილია მათ შორის, ზოგჯერ ძნელი გასარკვევია, თუ ვის ეკუთვნის ესათუ ის ლექსი ან ბრძნული თქმა, შოთას თუ ხალხს.

მაგრამ ამით მარტო არ ამოიწურება შოთა რუსთაველის და ხალხური შემოქმედების ურთიერთობა.

საქართველოში ძლიერ გავრცელებულია ზეპირსიტყვიერი „ვეფხვის-ტყაოსანი". რომელსაც ზოგან „ტარიელის ზღაპარს" უწოდებენ, ან პირდაპირ „ტარიელს"; ზოგან კი სრულებით არ იხსენიებენ შოთა რუსთაველის სახელოვან გმირს და „ხელმწიფის ნაშვილებიო" ამბობენ. აქამდის რუსთველოლოგიას ამ გარემოებისათვის არ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება. გასულ წლამდე ჩვენ „ხალხური ვეფხვის-ტყაოსნის" ვარიანტებიც კი არ გვქონდა ერთად შეკრებილი, კლასიფიცირებული და გამოცემული. ჩვენ არ ვიცოდით თუ სად, რა ადგილებშია გავრცელებული ამგვარი ხალხური გადმოცემები და როგორ მიმართებაში იმყოფებიან ისინი უკვდავ ქმნილებასთან.

ხალხში მარტო „ვეფხვის-ტყაოსნის" სიუჟეტი არ არსებობს. აქ უამრავი ისტორიული ხასიათის თქმულებებიცაა შოთა რუსთაველის პიროვნების შესახებ. ხალხის მეხსიერებაში რუსთაველი ცოცხლობს, როგორც რეალური პიროვნება, მოხუცი მთქმელები გიამბობენ მის დაბადებაზე, სადაურობაზე, სწავლა-აღზრდაზე; მოგვითხრობენ, თუ როგორ გაემგზავრა შოთა საბერძნეთს, ვინ დარჩა მას შეყვარებული, როგორ დაბრუნდა სამშობლოში, როგორ მიიღო თამარ დედოფალმა და ა. შ. ამას გაიგონებთ არა მარტო იმ რაიონებში, რომლებიც „ვეფხვის-ტყაოსნის" ტექსტითაც დაკავშირებულნი არიან შოთას სახელთან, არამედ სხვაგანაც, უფრო შორეულ ადგილებშიაც.

ეს მოვლენა უაღრესად საყურადღებოა. მას მეტი ჩაფიქრება და გულისყური სჭირია. მით უმეტეს მაშინ, როცა რუსთველის ბიოგრაფიის შესახებ ასე მცირე ისტორიული საბუთები მოგვეპოვება. ზოგიერთი ამ საკითხს დღემდისაც სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დადგა დრო, როდესაც ბოლო უნდა მოვუღოთ ხალხური შემოქმედებისადმი ამგვარ დამოკიდებულებას.

ამჟამად ჩვენს განკარგულებაში „ხალხური ვეფხვის-ტყაოსნის", ანუ როგორც ჩვენ ვუწოდებთ, „ტარიელიანის" რამდენიმე ათეული ვარიანტია. ისინი ჩაწერილია სხვადასხვა დროს თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში. მასში წარმოდგენილია აღმოსავლეთი და დასავლეთი, მთა და ბარი, არა მარტო ქართულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა, არამედ მეგრული, სვანური და თურქულიც. სამეგრელოში „ხალხური ვეფხვის-ტყაოსანი" ცნობილია „ტარიელიშ არიკი"-ს სახელწოდებით, სვანეთში მას „ჭაჯ-ტარიელი ცვგინ"-ს ეძახიან, ხოლო მესხეთ-ჯავახეთში შოთა რუსთაველზე არა ერთი ლექსი და თქმულება არსებობს თურქულ ენაზე.

მშრომელ ხალხს დღემდის შემოუნახავს თავისი საყვარელი პოეტის სახე. მესხეთ-ჯავახეთში დაწვრილებით მოგვითხრობენ შოთას საინტერესო ბიოგრაფიას. ჩვენ აქ მის გადმოცემას ვერ შევუდგებით. საყურადღებო ისიცაა, რომ ხალხი იცნობს არა მარტო შოთა რუსთაველს, არამედ მის მამასაც, რომელიც რუსთავის გავლენიანი ოჯახის პატრონი უნდა ყოფილიყო. „მამა მისი ვ. ი. შოთას მამა,—გადმოგვცემს სოფ. მუსხში მცხოვრები ისაკ მაისურაძე—თავმომწონე კაცი ყოფილა, ძალზე ნიჭიერი კაცი და კარგი ოთახიც (სახლი) ჰქონია. შოთას მამას ბევრი მოსწრებული სიტყვები სცოდნია, ყოფილა ტკბილი მოსიმღერე და შხამიან სიტყვებით მოშაირე". ამ თქმულების მიხედვით შოთას მამა სოფ. პატარაშენში პოეტის დაბადების დღეს იესე ბატონის ოჯახში ქეიფის დროს მოუწამლავთ (დღემდის არსებობს გეოგრაფიული სახელი „იესეს ყანები"). ეს ხალხური ცნობები ნაწილობრივ მაინც თუ დადასტურდა სხვა წყაროებით, მაშინ ჩვენთვის ნათელი იქნება ის ლიტერატურულ-ოჯახური გარემო, რომელშიაც დაბადებულია გენიალური პოეტი და რომლისგანაც მას უთუოდ ჩაენერგა პოეზიისადმი სიყვარული.

მრავალი ვერსია არსებობს შოთას პირადი რომანის ირგვლივაც. ხალხი ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე ცნობებს, რომ დიდებულ შოთას პატარაშენელი ელიზბარის ქალი ნინო უყვარდაო. ქალვაჟს პირობაც მიუციათ ერთმანეთისათვის. მალე შოთა თამარ მეფის შუამდგომლობით საბერძნეთს გამგზავრებულა. ექვსი წლის შემდეგ კვლავ დაბრუნებულა უკვე დასრულებული და გაფილოსოფოსებული მგოსანი. ნინოს ნახვა შოთას პირველ დღეს ვერ მოუხერხებია, ქალი დაეჭვებულა, შუა ღამისას მიპარულა პოეტის ოთახთან, შეუხედავს შიგ და დაუნახავს, შოთა მაგიდას უზის და სწერს, თავზე კი მშვენიერი ასული დგია.

ამ სურათისაგან შეშფოთებულ ნინოს იქვე თავი მოუკლავს, და სიკვდილის წინ ლექსიც წარმოუთქვამსო.

ხალხი იქვე უმატებს, რომ ნინო შეცდა, ვერ იცნო შოთას და, რომელიც იმ მომენტში ძმის ოთახში იმყოფებოდაო. მსგავსი ცნობების მოყვანას აღარ გავაგრძელებთ.

ზემოთქმულიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხვის-ტყაოსნის" ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა შეუძლებელია ფოლკლორის გაუთვალისწინებლად. ლიტერატურის, მატერიალური კულტურის, ყოფიერების გარდა, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის შესახებ უთუოდ დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე მასალებს გვაწვდის ხალხური შემოქმედება. ქართული ფოლკლორი რუსთაველოლოგიის ერთერთი დამხმარე წყაროა. ამიტომაც ამ მიმართულებით მუშაობის გაღრმავება გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ.

მარგალიტივით მბრწყინავი „ვეფხვის-ტყაოსანი" ჩვენი დროიდან შვიდნახევარი საუკუნით არის დაშორებული: მისი ენა და სტილი ძველი ლიტერატურული ქართული ენის კლასიკური ენა და სტილია. შოთას ენა განსხვავდება დღევანდელი სალიტერატურო ქართულისაგან არა მარტო მორფოლოგიური თავისებურებით, არამედ სინტაქსითა და ლექსიკითაც. „ვ. ტ."-ში მრავალი ისეთი სიტყვა და ფორმა მოიძებნება, რომელიც მეცნიერულ ახსნა-განმარტებებს მოითხოვს, უკანასკნელნი ხშირად დაუსრულებელ დავის საგნადაც იქცევიან ხოლმე. ენობრივი ნორმები, რომლებიც წერილობითი წყაროების მიხედვით წარსულს ეკუთვნის, ამჟამად უმეტეს წილად ცოცხლობს კუთხურ მეტყველებაში. ათასჯერ მართალი იყო მსოფლიო ენათმეცნიერი—რუსთველოლოგი აკად. ნ. მარრი, როდესაც ამბობდა რომ „ვ. ტ." დღეს გურიაში, მესხეთში და სხვაგან უფრო გასაგებია, ვინემ სხვა რომელიმე ნაწარმოებებიო.

ეს გარემოება მეცნიერების წინაშე გადაუდებელ ამოცანას აყენებს: შოთას ლექსიკა, ენა შესწავლილ უნდა იქნეს ცოცხალ კუთხურ მეტყველებასთან მჭიდრო კავშირში. ამ უკანასკნელისათვის კი აუცილებელია ხალხური მეტყველების ტექსტების ზუსტი ჩაწერა. პირველ რიგში კი უნდა გაჩაღდეს ისეთი ტექსტების შეგროვება, რომლებიც „ვეფხვის-ტყაოსნის" სიუჟეტს გადმოგვცემენ, რადგანაც ამით ჩვენ საშუალება გვეძლევა ერთმანეთს შევუდაროთ ერთი და იგივე მომენტის ორგვარი გადმოცემა: ხალხური და შოთასეული. ამგვარი შედარება ჩვენი აზრით შუქს მოჰფენს მრავალ საყურადღებო პრობლემას.

ყველა ეს საკითხი გათვალისწინებულია რუსთაველის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, კერძოდ კი ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის მიერ. დღემდის რუსთაველის სახ. ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ შეგროვილია და დაბეჭდილია „ხალხური ვეფხვის-ტყაოსნის" რამდენიმე ვარიანტი, თქმულებები და გადმოცემები გენიალური პოეტის შესახებ და სხვ.

მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას რომ ის, რაც აქამდის გაკეთებულა, ვერ ამოსწურავს ჩვენს მიერ წამოყენებულ პრობლემას. დღემდის დეტალურად ვერ გამოგვიკვლევია შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულ რაიონების ხალხური შემოქმედება, სრულად არ შეგვიკრებია „ხალხური ვეფხვის ტყაოსანი" და არ შეგვისწავლია ამ მხარეთა ცოცხალი მეტყველება.

ამ დიდი საქმის შესასრულებლად საჭიროა კოლექტიური მუშაობის გაჩაღება. პირველ რიგში უნდა მოეწყოს საგანგებო ექსპედიციები მესხეთ-ჯავახეთში, კახეთში იყალთოს მიმართულებით და რაჭა-ლეჩხუმში.

გენიალური რუსთაველის იუბილე, ჩვენი კულტურის ზეიმის დღე ახლოვდება. ამ ბრწყინვალე დღესასწაულს ღირსეულად მომზადებული უნდა შევხვდეთ.

მიხ. ჩიქოვანი
ვლ. ასათიანი
მიხ. ჩხენკელი
ალ. ღლონტი
ალ. ჩავლეიშვილი.

კომუნისტი

კვირა, 4 ივლისი, 1937 წ. № 151 (4952)

თათბირი შოთა რუსთაველის იუბილეს საკითხებზე

1 ივლისს „კომუნისტის" რედაქციაში შესდგა თათბირი რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებულ საკითხებზე. თათბირს დაესწრნენ პროფესორები: ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, ს. კაკაბაძე, ა. ბარამიძე, ა. დუდუჩავა, ა. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, დოცენტი ს. იორდანიშვილი, პოეტი კ. ჭიჭინაძე, ვ. გაფრინდაშვილი, აკ. გაწერელია. მ. ჩიქოვანი და მწერალთა კავშირის მდივნები დ. დემეტრაძე და ბ. ჟღენტი.

თათბირმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ რა თემაზე მუშაობს და რა მონაწილეობა შეუძლია მიიღოს „კომუნისტის" ფურცლებზე რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხების დამუშავებაში.

თათბირზე გამოირკვა, რომ ჯერჯერობით კონკრეტული მასალა, რომლის გამოქვეყნება ახლავე შეიძლებოდეს, ბევრს არა აქვს მზად.

ფრიად საინტერესო იყო მხცოვანი მეცნიერის პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოსვლა. იგი ამჟამად ეწევა დიდ ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას უდიდესი პოეტის იუბილესათვის გამოფენის მოსამზადებლად. მას მინდობილი აქვს ერთ-ერთი დარგი — რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის და ეკონომიკის გაშუქება.

პროფ. ივ. ჯავახიშვილმა დააყენა ფრიად საყურადღებო საკითხი, სახელდობრ: ხალხური „ვეფხისტყაოსნის" და შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის" ურთიერთ კავშირი და იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი უფრო ადრე ან რომელი რომლის გავლენით არის შექმნილი. შოთა რუსთაველმა ისარგებლა ხალხური თქმულებით, თუ ხალხმა გადმოიღო მისი პოემიდან.

„ვეფხის-ტყაოსნის" ხალხური გადმოცემა წინათაც არსებობდა და ახლაც, მაგრამ დღემდე არავის უთქვამს, რა დამოკიდებულება იყო მათ შორის. ამის გამორკვევაში დიდ დახმარებას გაგვიწევს ხალხური შემოქმედების ის შედევრები, რომლებიც, როგორც ამჟამად უკვე ცნობილია, შოთას ეპოქაში არსებობდა.

პროფ. ივ. ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ მუშაობს შემდეგ საკითხებზე: 1. XII საუკუნის ნივთიერი კულტურა და „ვეფხის-ტყაოსანი". 2. სოციალ-ეკონომიური პირობები მაშინდელ საქართველოში და „ვეფხის-ტყაოსანი".

როგორც პროფესორმა ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, მან აღმოაჩინა ახალი, დღემდის უცნობი ძეგლი, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. პროფ. ივ. ჯავახიშვილი „კომუნისტს" ზემოაღნიშნული მასალებიდან ზოგიერთ თავებს მოაწვდის.

გენიალური პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ფართოდ გაშუქებისათვის თათბირზე დამსწრე პროფესორებმა ა. შანიძემ, ვ. ბერიძემ, ა. ბარამიძემ, ს. კაკაბაძემ, პოეტმა კ. ჭიჭინაძემ და სხვებმა გამოსთქვეს სურვილი მიაწოდონ „კომუნისტს" თავიანთი გამოკვლევები, როგორც შოთა რუსთაველის ეპოქიდან, ისე თვით პოემის მხატვრული ღირსებისა და ზოგიერთი გმირების ლიტერატურული დახასიათების შესახებ.

ამხ. ა. დუდუჩავამ თათბირს აუწყა, რომ რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის პოემის ტექსტის დამდგენმა კომისიამ მუშაობა დაამთავრა და იუბილესთვის უკვდავი პოემა გამოვა დადგენილი ტექსტის მიხედვით.

პოეტმა კ. ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა რუსთაველის სახ. ინსტიტუტმა თვალყური ადევნოს „ვეფხის-ტყაოსნის" სხვადასხვა ენებზე თარგმნას და თარგმნების ხარისხს. პროფ. ვ. ბერიძემ განაცხადა, რომ რუსთაველის სახ. ინსტიტუტისა და საიუბილეო კომიტეტის ვიზის გარეშე უნდა აიკრძალოს ყოველგვარი ცალკე გამოცემები უკვდავი პოემის ირგვლივ.

დასასრულ, თათბირზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. გრ. მუშიშვილი, რომელმაც გააცნო თათბირს „კომუნისტის" წინაშე დაყენებული სერიოზული ამოცანები რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით და აღნიშნა ის როლი, რომელიც შეუძლიან ითამაშონ ჩვენმა მეცნიერულმა მუშაკებმა მათ გადაწყვეტაში.

ქუთაისის ნორჩ მუსიკოსთა ჯგუფი (მარჯვნიდან მარცხნივ): ელენე შახვილაძე, ლოლა ყუბანეიშვილი, ეთერი მამაგეიშვილი, ოთარ კაშია.

მე-15 სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები: გ. ავალიშვილი, ირ. ბახტაძე, თ. ლოლაშვილი, ქ. დოლიძე და ლ. ლაცაბიძე.

მათემატიკოსთა მე-3 საკავშირო ყრილობა

სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შუამდგომლობა მათემატიკოსთა მესამე საკავშირო ყრილობის თბილისში მოწვევის შესახებ.

ყრილობის მოწვევის დროდ დაწესებულია 1938 წლის 23—30 ივლისი.

სახკომსაბჭოს დადგენილებით შექმნილია ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: პროფ. ნ. ი. მუსხელიშვილი (თავმჯდომარე), პროფ. ვ. დ. კუპრაძე (თავმჯდომარის მოადგილე), პროფ. ლ. ც. გოკიელი (მდივანი), პროფ. ა. კ. ხარაძე, პროფ. ა. ზ. ვალფიში, პროფ. ს. ბ. ბერგმანი, პროფ. შ. ნ. მიქელაძე და დოც. ი. ნ. ვეკუა.

ყრილობის მოწვევის ხარჯები დამტკიცებულია 20 ათასი მანეთის რაოდენობით.

◇

გეოლოგიური კონგრესის წევრების ჩამოსვლა

დღეს საქართველოში ჩამოდიან საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის წევრები — საბჭოთა და უცხოეთის ქვეყნების გამოჩენილი გეოლოგები. 4 ივლისს ღამით სტუმრები დარჩებიან ფასანაურში, სადაც მათ დახვდებიან საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი კომისიის წევრები: პროფ. ა. ჯანელიძე, პროფ. თვალჭრელიძე, პროფ. კ. გაბუნია და გეოლოგი ი. კაჭარავა.

მათი ჩამოსვლისათვის საქ. მუზეუმის შენობაში ეწყობა დიდი გეოლოგიური გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა ნიმუშები, გეოლოგიურ ჭრილთა სურათები, გეოლოგიური რუკები, ნამარხები და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იშვიათ მინერალთა განყოფილება. ამ განყოფილებაში თავმოყრილი იქნება მოლიბდენის, დარიშხანის, ვერცხლის, ტყვიის, ოქროს და სპილენძის ნიმუშები. გამოფენაზე გამოტანილი იქნება საქართველოს სეისმური რუკა, სადაც აღნიშნულია უკანასკნელი ასი წლის მანძილზე საქართველოში მომხდარ მიწისძვრათა ეპიცენტრები.

5 ივლისს კონგრესის წევრები ჩამოვლენ თბილისში. აქ ისინი დაათვალიერებენ საქართველოს მუზეუმს, სახელმწიფო უნივერსიტეტს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს, გეოლოგიურ გამოფენას, თბილისის ერთ-ერთ დიდ საწარმოს და ქალაქის გარეუბნებს.

6 ივლისს საღამოს სტუმრები გაემგზავრებიან ჭიათურაში, შემდეგ საჩხერეში, ხოლო აქედან ცხენებით გადავლენ (ჯრუჭის ყოფ. მონასტრის გზით) შქმერის უღელტეხილს. შქმერიდან (ზემო-რაჭა) სტუმრები გაემგზავრებიან ონში, შემდეგ შოვში და აქედან რაჭის გზატკეცილით დაბრუნდებიან ქუთაისში. შემდეგ გაემგზავრებიან სოხუმისა და გაგრისაკენ.

საქართველოში მოელიან სულ 100-მდე საბჭოთა და უცხოელ გეოლოგს. საქართველოში ისინი დარჩებიან ერთ კვირას.

საქართველოს სახკომსაბჭოში

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ტყის ხანძრის წინასწარ ალმკვეთ და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ამ დადგენილებაში სახალხო კომისართა საბჭო ტყის ხანძრის მიზეზად აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ როგორც ის ორგანიზაციები, რომელთა გამგებლობაშიაც ტყის მასივებია, ისე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებას.

ხანძრისაგან ტყეების დაცვის გაუმჯობესებისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

ყველა იმ რაიონში, რომლის ტერიტორიაზედაც ტყის მასივებია, მოეწყოს ტყის ხანძრის წინასწარ-ალმკვეთი და მასთან ბრძოლის სარაიონო სამეული შემდეგი შემადგენლობით: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (სამეულის თავმჯდომარე), სატყეო მეურნეობის წარმომადგენელი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი სახანძრო დაცვის წარმომადგენელი.

აღნიშნულ სამეულებს ევალებათ: იმ სოფლების სიების შედგენა, რომლებიც მიმაგრებულ არიან ამა თუ იმ ტყის აგარაკზე ტყეში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად; ხანძრის მხრით უფრო საშიში ტყის ნაკვეთების გამორკვევა და მათზე ხანძართა ბრძოლისათვის პასუხისმგებელ პირთა მიმაგრება; მოსახლეობაში ტყის ხანძრის წინასწარალმკვეთ ღონისძიებათა შესახებ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება; სახანძრო ინვენტარის სათანადო მდგომარეობისათვის და ადგილების განკარგულებაში სახანძრო ღონისძიებათა ჩასატარებლად გადაცემული სახსარის პირდაპირი დანიშნულებისამებრ ხარჯვისათვის თვალყურის დევნება.

წინადადება მიეცა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს გაუწიონ საჭირო დახმარება სატყეო მეურნეობებს ტყეების დაცვის საქმეში და საჭირო შემთხვევაში გაიწვიონ მოსახლეობა შრომის ბეგარაზე არსებული კანონის შესაბამისად.

მარტის 1-დან ნოემბრის 1-მდე აკრძალულია ტყეში ცეცხლის დანთება, ბალახის გადაწვა ტყის მინდვრებზე, ტყის აგარაკების ახლომახლო მდებარე ნაკვეთებზე.

ცეცხლის საშუალებით საკაფი ადგილების გამოწმენდის დროს ნაკაფის ნარჩენი უნდა იწვებოდეს ოქტომბრის 1-დან მარტის 1-მდე სატყეო მეურნეობის უფროსი სპეციალისტისა და ტყის მცველის მეთვალყურეობით.

მარტის 1-დან ნოემბრის 1-მდე აკრძალულია ტყეში ნადირობა ღვივლადი მასალისაგან დამზადებული სატენის გამოყენებით. ტყეზე საქონლის გარეკის დროს (გაზაფხულობით მთის საძოვრებზე და შემოდგომობით ზამთრის საძოვრებზე ჩამოსვლისას) გაძლიერებულ უნდა იქნას ტყის დაცვა ყველა საქონელსარეკ გზაზე.

სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა იმ სახერხი ქარხნებისა და სხვა წამოწყებების დირექტორებს, რომლებიც უშუალოდ ტყის მახლობლად მდებარეობენ, მოაწყონ დაცვითი ზონები.

წინადადება მიეცა ყველა იმ ორგანიზაციას, რომელსაც თავის გამგებლობაში ტყის მასივები აქვს, შექმნას სატყეო მეურნეობებში და ნაკვეთებზე საჭირო სახანძრო ინვენტარის მარაგი. ასეთივე მარაგი უნდა შეიქმნას უშუალოდ ტყის მასივების გვერდით მდებარე წამოწყებებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აეკრძალათ სახანძრო ღონისძიებათათვის გადადებული სახსარის არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ ხარჯვა.

ხე-ტყის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ ტყესაკაფების გამოწმენდა მერქნის დამზადებასთან ერთად.

წინადადება მიეცა იმ ორგანიზაციებს, რომელთაც თავიანთ გამგებლობაში ტყის მასივები აქვთ, გამოარკვიონ წინა წლების კაფვის ადგილები, შეადგინონ ამ ადგილების გამოწმენდის გეგმა, გაითვალისწინონ ამისათვის საჭირო სახსარი და ახლო ხანში მისპონ ხანძრის მხრით განსაკუთრებულად საშიში ტყის ნაკვეთების ჩახერგილობა

სასკოლო და საბავშვო ბაღების მშენებლობა

განსახკომის ცნობით საქართველოს ქალაქებში სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობა 30 ივნისისათვის ასეთ მდგომარეობაში იყო: სოხუმის სკოლის შენობა მზად იყო 19 პროცენტით, გალისა—31, ქუთაისისა—26, გორისა—44, ფოთისა—44 პროცენტით.

თბილისის სკოლებიდან შაუმიანის ქუჩაზე სკოლის შენობა მზად იყო 44 პროცენტით, 9 ძმ-ს მოედანზე—38, ჭავჭავაძის ქ.—34, პლეხანოვის პროსპექტზე—27, მიასნიკოვის ქ.—38 პროცენტით.

ბათუმის (განსახკომი ამხ. ქათამაძე) და სტალინირის (განსახკომი ამხ. ყულაევი) სასკოლო მშენებლობათა ხელმძღვანელებს ცნობები არ წარმოუდგენიათ.

○

სოხუმის საბავშვო ბაღის შენობა მზად იყო 1,2 პროცენტით, ქუთაისს მშენებლობა არ დაუწყია, გორის საბავშვო ბაღის შენობა მზად იყო ერთი პროცენტით, ფოთის — 25,5-ით, თბილისის საბავშვო ბაღებიდან: მიასნიკოვის ქ. საბავშვო ბაღის შენობა მზად იყო 4,1 პროცენტით, გერმანელების ქ.—5, ბეგლეცის ქ.—5,6, სოხუმის ქ.—29,5, ტრამვაელთა პარკის—28.8 პროცენტით, საბავშვო ბაღის სამი შენობის აგება თბილისში ჯერაც არ დაუწყიათ.

◇

მწერალთა კავშირში

2 ივლისს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პოეტების სექციამ მოაწყო კონსტანტინე გამსახურდიას მოხსენება დანტეს პოემის — „ჯოჯოხეთის" მეორე ნაწილის „სალხინებელის" შესახებ.

მომხსენებელმა დამსწრეთ გააცნო დანტეს გენიალური ქმნილების სხვადასხვა ენაზე თარგმნის ისტორია, რის შემდეგ წაიკითხა ადგილები თავისი ნათარგმნი „სალხინებელიდან".

თარგმანის ირგვლივ აზრი გამოსთქვეს კ. ჭიჭინაძემ, ლ. ასათიანმა, ს. ჩიქოვანმა, ტ. ტაბიძემ, ა. გაწერელიამ, დ. შენგელაიამ და ვ. გაფრინდაშვილმა.

გამოსული ამხანაგები მიუთითებდნენ რა თარგმანის მცირე ნაკლზე, აღნიშნავდნენ მის ღირსებას და მოუწოდებდნენ მთარგმნელს ბოლომდე მიიყვანოს მსოფლიო ლიტერატურის ამ უდიდესი გენიოსის ქართულ ენაზე თარგმნის საქმე.

გაზეთებში გამოქვეყნებული იყო, რომ მოხსენება დაიწყებოდა 8 საათზე, ნამდვილად კი დაიწყო 11 საათზე და გაგრძელდა ღამის 2-ნახევარ საათამდე.

ჩვენ არაფერს ვიტყოდით ამის შესახებ, რომ ასეთი მოვლენა მწერალთა კავშირში იშვიათი იყოს. მწერალთა კავშირში არ ყოფილა არც ერთი კრება, რომელიც გამოცხადებულ დროზე ერთი საათით გვიან მაინც არ დაწყებულიყოს.

ბოლოს და ბოლოს დროა მწერალთა კავშირმა იზრუნოს კრებების წესიერად ჩატარებისათვის.

◇

ახალი ფასონის ფეხსაცმელი

ფეხსაცმლის ფასონსაც თავისი სამშობლო ჰქონია. საუკეთესო ფასონის ფეხსაცმელიო, ამბობენ ამ საქმის სპეციალისტები, იკერება ლონდონში. პარიზული, ბერლინური და ამერიკული ფასონი იმრიგად არ ფასდება. თუმცა ფეხსაცმლის მოდათა ატელიეები იქაც მრავლადაა ლონდონში გამომუშავებული მოდელები მსოფლიოში მისაბაძნი არიან, ფეხსაცმლის მოდაში ლონდონი ამბობს პირველ სიტყვას. „გიორგი მეოთხეს" ფეხსაცმელი მამაკაცთა ფეხსაცმელში ყველაზე დიდი მოწონებით სარგებლობს თურმე, ხოლო ქალთა ფეხსაცმელში საუკეთესოდ „წმინდა ელისაბედის" სტილი ითვლება.

წელს ლონდონს მსოფლიო პირველობას ამ საქმეში მოსკოვი ეცილება და ეცილება თურმე საბუთიანად. „გლავკოჟობუვპრომის" ატელიეში დამუშავებული მოდელები ლონდონურზე უფრო ლამაზი, უფრო პრაქტიკული და უფრო თანამედროვე აღმოჩნდა.

გასაკვირველიც არაა. ბერლინში ახლა მოდაში ყოფილა ისეთი ფასონების ფეხსაცმელი, რომელიც აშკარად გამოხატავს ფაშისტური გერმანიის მილიტარისტულ მისწრაფებებს. შეხედავ ქალის ტუფლს და იგი გაგონებს ტანკს, ჯავშნოსანს. ლონდონის ფეხსაცმელს ახასიათებს გულგრილი და უგულგულო პრაქტიციზმი. იფიქრებ—ამ ფეხსაცმლის შეკერვისას ისევე ანგარიშობდნენ, როგორც გემის მშენებლობისასო. ფეხსაცმლის გარეგნობა უფრო უიალქნო გემს, ან წყალქვეშა ნავს გაგახსენებს.

სად ვნახეთ ყველაფერი ეს? — თბილისში, „გლავკოჟობუვპრომის" მაღაზიაში, რუსთაველის პროსპექტზე № 34. ამ მაღაზიის დირექტორის ამხ. სტ. გიაშვილის ინიციატივით, ამ მაღაზიაში 2 ივლისს მოაწყეს ახალი მოდელის ფეხსაცმლის გამოფენა. აქ წარმოდგენილი იყო, როგორც სურათებით, ისე პროდუქციით ყველა მოდელი. თბილისსაც ჰქონია თავისი საკუთარი სტილი ფეხსაცმლის კერვაში და უნდა ითქვას არც ისე ურიგო სტილი.

მოსკოვის მოდელები კი ყველას სჯობია. მოსკოვში გამომუშავებული ახალი ფასონები მომხმარებელზე საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩვენებური ფასონის ფეხსაცმელი ატარებს შეძლებული, ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების იერს.

ამ დღეს ეს გამოფენა დაათვალიერეს მსახიობებმა, მწერლებმა, დიასახლისებმა მუშა-მოსამსახურეებმა, ინჟინერ-მუშაკებმა. გამოფენის მიზანი იყო ისეთი მოდელების შერჩევა, რომლებიც უფრო შესაფერისი იქნება თბილისელთათვის. მნახველებმა განსაკუთრებით მოიწონეს მოსკოვისა და თბილისის ფასონები. ქალთათვის უმრავლესობამ აირჩია ათამდე ფასონი.

მიმდინარე ზაფხულსა და შემოდგომაზე მაღაზია მხოლოდ ამ ახალი მოდელების ფეხსაცმელს გამოუშვებს მასობრივად. არჩეული ფასონების ფეხსაცმელს ამზადებს მაღაზიასთან არსებული დიდი სახელოსნო.

დ. ლომთაძე

სასამართლო

კოდექსის მუხლები აერიათ!

გასული წლის ოქტომბრის დილას დიდლილოს გზაზე (თბილისის რაიონი) ფიცრებით დატვირთული ურმები მიჭრიალებდნენ. არხეინად მღეროდნენ მეურმეები. თითო ურემს 8-8 ცალი ფიცარი მიჰქონდა; ლევან იუჯაშვილი სახრეს უტლამუნებდა ხარებს. თავის ეზოს რომ მიუახლოვდა, გულმა ვერ მოუთმინა და ერთი ცალი ფიცარი გადააგდო. ამას სხვებმაც მიჰბაძეს და თითო ფიცარი ყველამ მოიპარა. სულ ოთხი იყვნენ: მუნჯაშვილი, არჯევანიძე, ბერიძე და აფხაზიშვილი.

— ოთხი ღერი ფიცარი რა უყავით?! —შეეკითხა მეურმეებს სკოლის მშენებლობის უფროსი. მეურმეებს შერცხვათ. თვალი ვერ გაუსწორეს მშენებლობის უფროსს და იმ წამსვე მოიტანეს ფიცრები. ეს საქმე თბილისის რაიონის მილიციამ გამოიძია და დამნაშავეებს სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლის „ა" პუნქტი მიუყენა, რომელიც 6 თვის იძულებით მუშაობას ითვალისწინებს. ეს მუხლი შეეფერება კიდეც დანაშაულს, მაგრამ როდესაც საქმე თბილისის რაიონის პროკურატურას გადასცეს, გამომძიებელი ვ. შურღაია არც კი გაეცნო მას და დააწერა: მიცემულ იქნან პასუხისგებაში სსკ-ის 60 მუხლით. ეს მუხლი კი გადასახადის არგადამხდელთა დაჯარიმებას ითვალისწინებს და რა შუაში არიან აქ მეურმეები...

იმავე დღეს სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაქსაშვილმა დაადო ამ საქმეს ასეთი რეზოლუცია: „შესდგეს საქმე სსკ 75 მუხლის პირველი ნაწილით", როგორც ვხედავთ, პაქსაშვილს საქმე სრულებით არ წაუკითხავს, თორემ ხულიგნობისათვის მისაყენებელ მუხლს ქურდობას არ მიუყენებდა. ცოდვა გამომჟღავნებული სჯობია. საქმეს არ გასცნობია მოსამართლე პავლე გვეტაძეც, რომელიც მას პაქსაშვილის მიერ მიყენებული მუხლით არჩევდა, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრების გამო გადასდო. კიდევ კარგი, რომ გადასდო, თორემ ქურდებს ხულიგნებად მონათლავდა. ეს მოხდა მიმდინარე წლის 25 მარტს. ამის შემდეგ ოთხი თვის განმავლობაში საქმის გარჩევა არავის მოჰგონებია.

4 ივნისს მოსამართლემ ევგენი არჩვაძემ საქმეს ცალი თვალით გადახედა, გადაფურცლ-გადმოფურცლა, დაეზარა წაკითხვა და ახალი ამერიკა აღმოაჩინა: ბრალდებულებს სისხლის სამართლის კოდექსის 200 მუხლი მიუყენა. ეს მუხლი ეფარდება ხალხის ჯანმრთელობის დასაცავად კანონით დადგენილი წესების დამრღვევთ. ეს რომ ბრალდებულებმა გაიგეს, გაოცდნენ.

— კაცო, თითო ფიცარი მოვიპარეთ და რა გახდა ასეთი, რომ წარა-მარა გვიცვლიან მუხლებსაო?

ნუთუ თბილისის რაიონის სახალხო სასამართლომ ოთხი ფიცრის მოპარვის საქმის განხილვა გასული წლიდან დღემდე ვერ დაამთავრა? რატომ არ კითხულობენ მოსამართლენი საქმეს? დაუდევრობა ამაზე შორს ვერ წავა. იუსტიციის სახ. კომისარმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს.

კლ. ზიაძე

◇

კიტრის ფასის დაკლება

30 ივნისიდან დაიწყო დიდძალი კიტრის შემოზიდვა თბილისის ბაზრებზე. ყარაიის ხილბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობამ თბილისში თავის მაღაზიებიდან გაჰყიდა ტონაზე მეტი კიტრი, კილოგრამი 90 კაპიკად. ორ ტონამდე კიტრი შემოზიდა თბილისში ლუქსემბურგის „როტ-ფრონტის" სახელობის კოლმეურნეობამ. ჰყიდდა კილოს 1 მან. 50 კაპიკიდან 2 მანეთამდე.

მასობრივად შემოზიდვის გამო ბაზარზე კიტრის ფასმა იკლო ცალზე 25 კაპეკამდე.

ბიბლიოგრაფია

პ. სამსონიძე — „ეწერი"

წულუკიძის რაიონში ეწერი ცნობილი იყო, როგორც დაჭაობებული, მალარიის გამავრცელებელი მიდამო, სადაც, ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, „ეწერში და ლაქაშებში დაღოღავდნენ კუები, დასრიალებდნენ უწბილოები და დღითა და ღამით გულის გასაწყალებლად ყიყინებდნენ ბაყაყები". მაგრამ კოლხიდის ეს მხარე ახლა ბაღებად არის გადაქცეული. ჭაობები დააშრეს და რამდენიმე ათეულ ჰექტარ მიწაზე ჩაის და სუბტროპიკულ მცენარეთა პლანტაციებია გადაჭიმული. ამ დიადი მშენებლობისა და მუშათა ყოფაცხოვრების მხატვრულად გადმოცემისათვის პეტრე სამსონიძეს მიუმართავს ისეთი ლიტერატურული ფორმისათვის, როგორიც არის ნარკვევი.

— რა დაგემართათ კაცო... ამდენი რამ შენდება, კეთდება და თქვენ მწერლები, იმის ნაცვლად, რომ დაათვალიეროთ, შეისწავლოთ, აწეროთ თუ ბოლშევიკები როგორი ალტყინებითა და ენერგიით სცვლიან საქართველოს ეკონომიურ რუკას, თბილისში განაგრძობთ ქუჩების ტკეპნას,—ეუბნება სარეცენზიო წიგნის ავტორს მეურნეობის დირექტორი ამხ. გრიგოლი. მართლაც, ეს საყვედური სამართლიანი და დროულია. ჩვენი მწერლები უფრო ღრმად უნდა ჩასწვდნენ საბჭოთა სინამდვილეს და მონუმენტურ ტილოებზე გადაიტანონ ჩვენს დიად ქვეყანაში წარმოებული მშენებლობა.

სარეცენზიო წიგნის პირველ თავში დამაჯერებლად მოთხრობილია ეწერის წარსული. შემდეგ ავტორი თანმიმდევრად და ლამაზი ფერადებით გვიხატავს ეწერში ჭაობების ამოშრობისა და სუბტროპიკულ კულტურათა გაშენების ისტორიას. ავტორის პირადი განცდები და ბავშვობის მოგონებანი ორგანიულად შეუტანია ნაწარმოებში.

„ეწერი" დაყოფილია ცალკე თავებად. განსაკუთრებული სისადავით აღწერილია მუნჯ. ბარდღუსთან შეხვედრის სცენა. პ. სამსონიძეს ყურადღების გარეშე არ რჩება მეურნეობის არც ერთი დეტალი. იგი ზუსტად და დამაჯერებლად აგვიწერს სანერგეს, პლანტაციას, ბაღებს, უბნებსა და მუშათა საცხოვრებლებს.

კარგად არის გაკეთებული მეურნეობის კლუბში წარმოდგენის ამბავი. „ზარმაცი სცენაზე" ლამაზად აქვს აღწერილი პ. სამსონიძეს. ცოცხლად გვიხატავს ავტორი მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, სტახანოველებს. დამაჯერებლად აღწერილია ყალო მიწის ყოფილი გამყიდველის ამირინდო კინწურაშვილის ცხოვრება და მუშაობა. ავტორი ლირიულად და მგრძნობიარედ გვიხატავს კინწურაშვილთან ხონის ბაზარში შეხვედრის სცენას, ვაჭრის შვილის ჭიკოშის უდიერ ქცევას და შემდეგ განახლებულ ეწერში სტახანოველ კინწურაშვილის მუშაობას. კარგია მეურნეობის მოწინავე ადამიანთა დაჯილდოების სცენა.

„ეწერის" ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სხვადასხვა უბნის პლანტაციების აღწერა ერთობ გაჭიანურებულია და აქა-იქ გვხვდება პროვინციული გამოთქმები.

კლ. გოგიამა

◇

უმაღლეს სასწავლებლებში ფრიადოსანთა მიღების წესი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტი ღებულობს მრავალ შეკითხვას უმაღლეს სასწავლებლებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ფრიადოსანთა მიღების წესის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტი განმარტავს, რომ საშუალო სკოლის (ათწლედის) ფრიადოსნები, რომელთაც 1936 და 1937 წლებში დაამთავრეს კურსი, უგამოცდოდ მიიღებიან უმაღლეს სასწავლებლებში.

საარქიტექტურო და საამშენებლო უმაღლეს სასწავლებლებში ან ფაკულტეტებზე შესვლისას ფრიადოსნები აბარებენ შესამოწმებელ გამოცდებს ხატვაში.

იმ პირთ, რომელთაც „ფრიადზე" დაამთავრეს მუშფაკი, ტექნიკუმი, საშუალო სამწლიანი სკოლა მოზრდილთათვის შვიდწლედის ან ათწლედის ბაზაზე 1935 წელს, უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ შესვლის უფლება არ აქვთ.

ნატახტარი — ლენინგორი

შინსახკომის გზატკეცილთა სამმართველოს საგზაო-სამანქანო სადგური შეუდგა მექანიზაციის წესით ნატახტარ-ლენინგორის გზის მშენებლობას. ამ გზას მეტად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი უმოკლესი მანძილით დაუკავშირებს თბილისს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს და კერძოდ მის ერთ-ერთ ყველაზედ დიდ ლენინგორის რაიონს, რომელსაც აქამდე არ მოეპოებოდა ავტომიმოსვლისათვის ვარგისი გზა.

უკვე გაჭრილია ყამირის ტრასა 13 კილომეტრზე. ახლა საჭიროა ქვის მასალის გამოტანა გზის ქერქის გასამაგრებლად, რაც თბილისის რაიონის საქმეა, მაგრამ იგი დაუდევრობას იჩენს, არ გამოაქვს გზაზე ხრეში და ამით ახალი გზის მშენებლობას საფრთხეს უქმნის.

◇

ახალი ამბები

● **სოფ. დიდი-ლილოს** ელექტროფიკაციისათვის საქართველოს სახკომსაბჭომ გადასდო 45 ათასი მანეთი.

● **5 ივლისს**, საღამოს 8 საათზე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დარბაზში (კეცხოველის, № 11) შესდგება გეოგრაფიული საზოგადოების პლენარული სხდომა, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს პროფ. ა. ფ. ლაისტერი: „ჩრდილოეთ პოლუსის დაპყრობა და დიდი ტრანსარქტიკული გზის ათვისება". დასწრება თავისუფალია.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

4 ივლისი

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ამხანაგ სტალინის წერილი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სახელმძღვანელოს შემდგენლებს" — რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ლენინ-სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სრული კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ"—რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე; კონსულტაცია თემაზე: „საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სახელმწიფოებრივი ფორმა პროლეტარიატის დიქტატურისა"—ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კონსულტანტი ამხ. დ. თოფურია.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „მხატვრული ლიტერატურის გამოყენება თემისათვის —„ბოლშევიკების პარტია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში". კონსულტაცია შესდგება ლენინის, ორჯონიკიძის, კიროვისა და 26 კომისრის სახელობის რაიკომების პროპაგანდისტებისათვის. ქართულ ენაზე კონსულტანტია ამხ. შ. რადიანი, რუსულ ენაზე კი—ამხ. დ. დემეტრაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე; კონსულტაცია თემაზე: „პარტიული წრეების მუშაობის ფორმები და მეთოდები". კონსულტაცია შესდგება სტალინის რაიკომის პროპაგანდისტებისათვის რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ი. რუხაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სტალინური კონსტიტუცია და ანტირელიგიური პროპაგანდის ამოცანები". ქართულად კონსულტანტია ამხ. სახაროვი, ხოლო სომხურ ენაზე—ს. ელბაქიანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

4 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარების მეცადინეობა თემაზე: „სოციალისტური სახელმწიფოს საარჩევნო კანონი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გრ. მუშიშვილი

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

დაკვრული 6-30, 8-30. 10-30 რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30. 10-30 26 კომ. სახ. საზამთ. 6-30 საზაფხ. 9 განთიადი დასაწყ. საღ. 6-30 წ. კომინტერნი 9, 11	ახალი ხმოვანი საგმირო ფილმი ქართულ ენაზე „არსენა" რეჟისორი — ორდენოსანი მ. ჭიაურელი საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები.
ოქტომბერი 7, 9, 11 ამ.კავშირელი 6-30. 8-30 10-30 არხენა (კიროვის სახ. რაიონი) 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი საგმირო ფილმი რუსულ ენაზე „არსენა" რეჟისორი — ორდენოსანი მ. ჭიაურელი. საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები.
ახალი ამბები. დასაწყ. 6-30	გმირთა გაფრენა — ხმოვანი ჟურნალი, ძირს დაუშვებელი მოსკოვი — ჩრდილოეთის პოლუსი — ჩრდილოეთ ამერიკა გადაფრენისადმი მიძღვნილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ა. წ. 5 ივლისს, დღის 12 საათზე, № 86 აუდიტორიაში ფილოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს საჯარო სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს ასისტენტი **ალექსანდრე ჩავლეიშვილი თემაზე: „ლიტერატურული სახის გრძნობად-კონკრეტიულობის პრობლემა".** ოფიციალური ოპონენტები: პროფ. ალ. დუდუჩავა, პროფ. შ. ნუცუბიძე.

1154 **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

საქართველოს მონადირეთა სარეწაო კოოპერატიული კავშირის „მონკავშირის" დასკვნითი ბალანსი 1936 წლისა.

აქტივი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	მან.	კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	678321	22
2	საქონელი საწყობში და მაღაზიებში	272038	44
3	საქონელი გადაგზავნილი	161970	19
4	ცხოველები კვებაზე გადაყვანილი	45578	62
5	მემინდვრეობა	10911	96
6	ფულადი საშუალებანი	16650	73
7	ანგარიშსწორებანი	272775	80
8	მომავალი წლის ხარჯები	30437	29
9	დანაკარგები საანგარიშო წლისა	69664	07
	ბალანსი	1558348	32

პასივი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	მან.	კაპ.
1	ფონდები: ა. ძირითადი	132591	15
	ბ. საპაიო	393445	57
	გ. სხვადასხვა	577343	12
2	სესხი სახბანკიდან	167172	—
3	დეპონენტები	24191	50
4	ანგარიშსწორებანი	222509	06
5	დაგროვება 1935 წლისა	41095	92
	ბალანსი	1558348	32

1936 წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

№№ რიგ.	დანაკარგების დასახელება	მან.	კაპ.
1	ხარჯები: 1. ადმინისტრატიული	157521	37
2	„ 2. სავაჭრო-სადამამზადებლო	187397	29
3	„ 3. სხვადასხვა	69425	—
4	დანაკარგები მეურნეობისა	125762	26
		540105	92

№№ რიგ.	დაგროვების დასახელება	მან.	კაპ.
1	საქონლის რეალიზაციით	276783	10
2	დამზადება	162968	39
3	სხვადასხვა შემოსავალი	30690	36
4	საანგარიშო წლის დანაკარგები	69664	07
		540105	92

ბალანსი დამტკიცებულია საქფინსახკომის მიერ 1937 წელს 26 მაისს, ოქმი № 06-20-08.

მონკავშირის გამგეობის თავმჯდომარე **სუჯაშვილი.** მონკავშირის გამგეობის თავმჯდ. მოადგ. **ღლონტი.**

დრ. მთ. ბუხჰალტერი **მოსიაშვილი.**

1607

ამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, [illegible]ბისა: პარტიულის —3—57—61, სასოფლო-სამეურნეო —3—73—40, მშრომელთა წერილების—3—72—24, პ/მგ. მორიგის —3—26—67, გამომცემლობის —3—51—81, სტამბის დირექტორის —3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68,

მთავლიტის რწმუნებული 3 8599